Глав газета

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სალიტერატურო
გაზეთი

1933 წ. 29 აპრილი | საქ. საბჭ. მწერლ. კავ. ათდღიური გაზეთი | № 10 (36
ფასი 30 კ.

ისტორიული დადგენილების წლის თავზე

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საქ. კომუნისტური პარტიის ცეკას ისტორიული დადგენილება — „სალიტერატურო - სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ". განვლილი პერიოდი საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ისტორიაში აღიბეჭდება როგორც ახალ გამარჯვებათა პერიოდი. მომწიფდა, გაიზარდა ახალი მწერალი, სიტყვის ახალი ოსტატი, რომელიც თავის ცხოვრებას პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის ცხოვრებას უკავშირებს, მისწრაფის გაშლილ სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

ფრიად საგრძნობი მიღწევებით ხვდება საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა ცეკას ისტორიული დადგენილების წლის თავს. დაირღვა ის ხელოვნური ზღუდეები, რომელიც საბჭოთა ინტელიგენციის ფართო წრეებს აშორებდა პროლეტარული ლიტერატურის კადრებს. ყველა სასიცოცხლო შემოქმედებითი ძალები გაერთიანდა სოციალიზმისათვის ბრძოლის პლატფორმაზე, შეიქმნა ყველა აუცილებელი პირობები კომუნისტ მწერალთა შემჭიდროებისათვის უპარტიო მწერლებთან.

გაირღვა ჯგუფობრიობის რკალი, დრომოჭმული ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც საბჭოთა ლიტერატურის შემდგომ განვითარებას აფერხებდა, ადუნებდა ლიტერატურული ცხოვრების მაჯისცემას. ჯგუფობრიობის დაძლევით შესაძლებელი შეიქნა სწორი ურთიერთობის დამყარება კომუნისტ და უპარტიო მწერალთა შორის.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირმა საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაატარა ჯგუფობრიობის დასაძლევად. ამ ხაზით ჩვენ უეჭველად საგრძნობ წარმატებებს მივაღწიეთ. მაგრამ ჯგუფობრივი ბრძოლის ნაშთებს ჯერ კიდევ აქვს ადგილი, როგორც კომუნისტ, ისე უპარტიო მწერალთა შორის. იგი სავსებით დაძლეული არ არის. ჩვენი მუშაობის ამ ფრიად მტკივნეულ მხარეს, სამართლიანად გაუსვა ხაზი საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის მეორე პლენუმმა თავის რეზოლიუციაში ამიერ - კავკასიის სალიტერატურო ორგანიზაციების მოხსენებათა გარშემო. პლენუმმა ჯგუფობრიობის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, საქ. საბჭოთ მწერლების კავშირს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახა.

საბჭოთა მწერლების საუკეთესო ნაწილი გაერთიანდა პარტიის, სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა გარშემო. 23 აპრილის დადგენილების სახით ჩვენ გვაქვს უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტი, რომელშიაც მოცემულია ჩვენი მოქმედების პროგრამა, დასახულია მუშაობის გარდაქმნის გზები. ამ გარდაქმნის აუცილებლობა კი ვერ გაიგეს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოფილ ხელმძღვანელებმა, რომლებიც აგრძელებდნენ ჯგუფობრივ, პოლიტიკას, ადმინისტრატიულ მიდგომას მწერლებისადმი.

ცეკას ისტორიულმა დადგენილებამ მეტად დიდი ამოცანები დააყენა საბჭოთა ლიტერატურის პროლეტარული რაზმის წინაშე. თვითეული პროლეტარული მწერლის ამოცანაა შეითვისოს მთელი საბჭოთა ლიტერატურის დიდი შემოქმედებითი გამოცდილება, დაეუფლოს წარსულის მემკვიდრეობას, ენერგიულად იბრძოლოს პროლეტარულ მწერალთა რიგების გაფართოებისათვის, საბჭოთა ლიტერატურის მხატვრული დონის ამაღლებისათვის, გახდეს სანიმუშო მთელ საბჭოთა ლიტერატურისათვის მან უნდა იცოდეს საბჭოთა სინამდვილის მრავალფეროვნება. პროლეტარული მწერლობა საბჭოთა ლიტერატურის მოწინავე რაზმია.

კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა პროლეტარული ლიტერატურა. ჩვენი პროლეტარული მწერლების შემოქმედებითი მუშაობა ამ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში საკმაოდ ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ **კ. ლორთქიფანიძის, პ. საყვარელიძის, ფრ. ნაროუშვილის, პ. ჩხიკვაძის, კ. კალაძის, პ. სამსონიძის, ა. მაშაშვილის, ი. აბაშიძის, გომიაშვილის** და სხვ უკანასკნელი ნაწარმოები.

პროლეტარულ მწერლებთან ერთად ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა აწარმოვეს ჩვენი ლიტერატურული ფრონტის დანარჩენ რაზმებმაც. გარკვევით ისახება საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი კადრების სურვილი თავისი შემოქმედებით აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალი ქვეყნის შენებაში ძლიერდება საბჭოთა ლიტერატურის ფრონტი. იზრდება საბჭოთა მწერლების მხატვრული პროდუქცია: **ს. ჩიქოვანი, გ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, რ. გვეტაძე, ს. შანშიაშვილი, ტ. ტაბიძე, ნ. მიწიშვილი, ლ. ქიაჩელი, დ. სულიაშვილი, ს. კლდიაშვილი, ი. მოსაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ა. ქუთათელი** და სხვ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ თითქოს ჩვენს ლიტერატურაში ადგილი არ ჰქონდეს სოციალისტურ მშენებლობისადმი მავნე და მტრულ განწყობილებებს. კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით, საჭიროა ყოველმხრივ გავამახვილოთ კომუნისტებისა და ყველა საბჭოთა მწერლების სიფხიზლე, გამანადგურებელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ლიტერატურაში კლასობრივი მტრის ყოველგვარი გავლენის წინააღმდეგ.

ჩვენი მარქსისტული კრიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა გააჩაღოს მუშაობა სოციალისტური რეალიზმისა და რევოლიუციური რომანტიზმის პრობლემების დამუშავებისათვის ლიტერატურის კონკრეტულ მასალაზე.

ამხ. სტალინის მიერ წამოყენებული ლოზუნგი სოციალისტური რეალიზმის შესახებ, სახავს საბჭოთა მწერლობის შემოქმედებით გამარჯვებათა გზებს, შლის უდიდეს პერსპექტივებს ლიტერატურის წინაშე. სოციალისტური რეალიზმი მოითხოვს მწერლისაგან ჩვენი სინამდვილის სწორად მოცემას მთელი მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, მისი განვითარების წამყვანი ტენდენციის გახსნას, რაიც სოციალისტური რევოლიუციის ძალების გამარჯვების ჩვენებას ნიშნავს.

ახალი საზოგადოებრივი წყობილების პირობებში ახალი ადამიანის, მისი ბრძოლის ჩვენება სოციალიზმისათვის,—აი საბჭოთა ლიტერატურის მთავარი ამოცანა.

მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში უდიდესი როლი შეუძლია შეასრულოს დრამატურგიას. ჩვენი დრამატურგია, მიუხედავად საგრძნობი მიღწევებისა, (**ა. მაშაშვილი, კ. კალაძე, პ. სამსონიძე, ს. შანშიაშვილი, შ. დადიანი, პ. კაკაბაძე, გ. ბუხნიკაშვილი, გ. ბააზოვი,** და სხვ.) ჯერ კიდევ ჩამორჩებიან იმ დიდ ამოცანებს, რომელსაც მის წინაშე თანამედროვეობა აყენებს. ჩვენ უნდა შევქმნათ ყველა პირობები იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ დრამატურგების ნაყოფიერი მუშაობა.

ცეკას დადგენილება საბჭოთა ლიტერატურის წინსვლის, სწრაფი განვითარების უდიდეს ფაქტორად გადაიქცა. ყველა ძალები უნდა დავრაზმოთ იმ დიადი ამოცანების განსახორციელებლად, რომელსაც გვისახავს საქ. კომუნისტური პარტია და მისი ბელადი ამხ. სტალინი.

ლიტერატურა უნდა გახდეს ფართო მშრომელი მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრ იარაღად.

მ. ჯავახიშვილი

ახალი მიჯნა

23 აპრილს ერთი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც კომპარტიის ცეკამ ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებას ახალი მიჯნა დაუდო და ახალი გეზი მისცა. მას შემდეგ ეს თარიღი ყველა მწერლისათვის ისტორიულ მიჯნად გადაიქცა, ამიტომ ცეკას დადგენილების ერთი წლის თავზე საჭიროა უკან მივიხედოთ და განვლილი მანძილი შევაფასოთ, რათა სალიტერატურო დღევანდელობა და ხვალინდელობაც უკეთ გავზომოთ და უკეთ დავიმახოთ.

რა იყო და რა შეიცვალა? პროლ. მწერ. ასოციაცია (რაპი) დაიშალა, დაიშალა ფედერეციაც და მის მაგიერ საბჭოთა მწერლების კავშირი დაარსდა კომპარტიის ხელმძღვანელობით. ამ ცვლილებამ სამნაირი უკიდურესი შთაბეჭდილება გამოიწვია. ზოგს გაეხარდა: „კლასობრივი ზავი დამყარდაო".

მეორე ჯგუფი უწინაც უიმედობით იყო მოცული და ეხლაც ამბობდა: არაფერიც არ შეიცვლება, პავლე წავა და პეტრე დარჩებაო.

მესამე ჯგუფი მეტისმეტად დაღონდა. ეგონათ, პროლეტარული მწერლობა დაქვეითდაო.

მე გახარებულთა ჯგუფს ვეკუთვნი, მაგრამ არც იმდენად გულუბრყვილო გახლავართ, რომ აზრად გამევლოს, თითქოს ამიერიდან კლასობრივი ზავი დამყარდა". შარშან მწერალთა კრებაზე ცეკას დადგენილების გამო სიხარული საჯაროდ გამოვთქვი. ზოგმა რაპელმა მკითხა, რამ გაგახარაო? მეც შეკითხვით ვუპასუხე, თქვენ რამ დაგაღონათ მეთქი?

ვის რამდენად გაეხარდა და ვის ეწყინა —ამას თავი დავანებოთ. ეს ცხადია: ზოგიერთს ვერც კი წარმოედგინა, რომ ცეკას დადგენილება თანაბრად სასარგებლო ყოფილიყო, როგორც უპარტიო, ისე პროლეტარულ მწერლებისათვისაც. ნამდვილად კი სწორედ ასე მოხდა და ჩემი კმაყოფილებაც გამართლდა. ამ აზრის დასასაბუთებლად მოკლედ მაინც გავიხსენოთ მახლობელი წარსული. ხელისუფლება ყოველ მხრივ ხელს უწყობდა პროლ. მწერლობას რათა მას ჰეგემონია დაეპყრო, მაგრამ ამავე დროს მუდმივ და ხაზგასმით იმეორებდა, ეს ჰეგემონია მხოლოდ **შემოქმედებით** უნდა მოიპოვოთო. რაპი ამ ფორმულის პირველ ნახევარს უკანასკნელ პერიოდში გულმოდგინეთ ასრულებდა, მეორე ნახევარს კი შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

საჭირო აღარ არის ჩამოვთვალო ყველა უხეში უხეში ხერხი, რომელიც მაშინ მოიხმარეს და, რომელმაც ბევრი მწერალი დააფრთხო, განზე გააყენა და დიდი ხნით დაადუმა.

რა მოგვცა 23 აპრილის დადგენილებამ? რამ გამახარა მაშინ?

საბჭოთა მწერლების მიმართ ადმინისტრატიულ მიდგომას ბოლო მოეღო. მის მაგიერ სულ სხვანაირი მეთოდია შემოღებული, რომელიც დატუქსვაზე უფრო მძლელია და ნამდვილი. იდეური ზეგავლენა, მზრუნველობითი დამოკიდებულება თვითეულ საბჭოთა მწერლებისადმი — აი ფორმულა ახალი უებარი მეთოდისა.

მწერალთა რიგებში აღარ მოსჩანს ზოგი „მწერალი", რომელიც რაპმა მხოლოდ თავის ზურგის გასამაგრებლად გამოწერლა, ხოლო მეორე მხრივ ჩვენს ოჯახს რამდენიმე ნამდვილი მწერალი დაუბრუნდა, იმ იმედით დაიბრუნეს, რომ ისინი ძველ გზას უკუაგდებდნენ და ახალს გაჰყვებოდნენ.

ეს იმედი თანდათან მართლდება. ზოგი დახელოვნებული მწერალი უკვე გამოჩნდა ახალ გზაზე, ზოგი კი მუშაობს და მალე გამოჩნდება.

თანდათან ინგრევა ურთიერთის მჭამელი ჯგუფები, რომელნიც შეთქმულთა ციხეკოშკებს ჰგავდნენ.

დიდი მნიშვნელობა აქვს მეორე საკითხს — სამხატვრო პროდუქციის მომატებას და ჩვენი მომდევნო თაობის ზრდას. სახელგამის პორტფელი საუკეთესო კლასიკოსებით ივსება. ამ ერთი წლის „**მნათობი**" გაცილებით სჯობია შარშანდელს, ხოლო ახალგაზრდა მწერლები ორივე ფეხზე დგებიან, მწიფდებიან და თავიანთ თავს სჯობნიან. თქმა არ უნდა, პროდუქციის ღირსების მხრივ და სხვა მხრივაც 23 აპრილის დადგენილების ნაყოფი ერთ წელიწადში ვერ დამწიფდებოდა, ვინაიდან სალიტერატურო ხეხილი ერთწლოვანი მცენარე კი არ არის, არამედ მრავალწლოვანი, ამიტომ იგი დროთა მსვლელობაში უფრო მეტად გაიშლება და უფრო თვალსაჩინოდ გამოჩნდება. ერთხელ თუ ორჯერ ვთქვი და კიდევ უნდა გავიმეორო: ზემოხსენებულმა დადგენილებამ უპარტიო მწერლებს უფლება გაგვიფართოვა, მაგრამ ამავე დროს მეტი მოვალეობაც დაგვაკისრა. უპარტიო მწერლებს ეს ვალი მუდამ უნდა ახსოვდეს და ნიადაგ უნდა ცდილობდეს, რათა იგი პირნათლად და ერთგულად მოიხადოს.

არელიძე

ზოგიერთი შედეგები და პერ ების კავში

ისტორიული თარიღ ზე

შესრულდა ერთი წელი საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის დადგენილების შემდეგ და ამ ერთი წლის განმავლობაში საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის მუშაობას დიდი და მნიშვნელოვანი წამომატება დაეტყო.

23 აპრილის დადგენილება ნიადაგს აცლის ყოველგვარ ჯგუფობრიობას მწერალთა რიგებში, ის ფართოდ ხსნის გზას შემოქმედებითი მუშაობისათვის. ეს გარემოება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჯგუფობრივობა, და თვით ჯგუფები უკვე მოსპობილია, რომ მათი ნაშთი და ნატამალიც კი აღარ მოიპოვება მწერალთა რიგებში.

23 აპრილის დადგენილებამ ნიადაგი გამოაცალა და გადაუჭრა საარსებო წყარო ჯგუფობრივ მუშაობას, მაგრამ ჩვენში — საქართველოში ჯგუფობრივი შენ-ჩემობია ისეთი მძლავრი და ძლიერი მოვლენა იყო, ჯგუფობრივი განწყობილება ისე მაგრად იყო გამჯდარი მწერალთა ზოგიერთ ფენებში, რომ მათი ამჟამად სრული გაქრობის აღიარება სინამდვილის წინაშე თვალების დახუჭვა იქნება.

შეიძლება, როცა ჯგუფებზე და ჯგუფობრივობაზე ვლაპარაკობთ, ზოგიერთმა ასე წარმოიდგინოს საქმე, რომ ეს სენი **მხოლოდ** ყოფილ პროლეტარულ მწერლების ასოციაციას (სიტყვა „ყოფილი" ასოციაციას მიაკუთვნეთ და არა პროლეტარულ მწერლებს!), მის ყოფილ ხელმძღვანელებსა და საზოგადოთ ასოციაციის შიგნით მომუშავე ამხანაგებს სჭირდათ და სჭირთ. ჯერ ერთი, რომ თვით ყოფილ ასოციაციის შიგნიც იყო ერთი ნაწილი, რომელიც ჯგუფობრივობას არ მისდევდა, მეორეც ის, რომ ჯგუფობრივი მუშაობის ოსტატები ცოტა არ იყო (და სჩანს მათი რიცხვი დღესაც არ დალეულა) უპარტიო მწერალთა რიგებშიაც.

დღევანდელი დღის მდგომარეობაზე თუ ვილაპარაკებთ საგულდაგულოდ, უნდა აშკარად ვთქვათ, რომ ამჟამად შეიძლება ამ ნაწილში (უპარტიო მწერალთა ზოგიერთ ფენებში) უფრო ნელია ჯგუფობრივობიდან განკურნების მსვლელობა, აქ უფრო მძლავრად და მაგრად ებღაუჭებიან ჯგუფობრივ მუშაობის ყაიდაზე არსებობის შენარჩუნებას.

ჯგუფობრივ მუშაობასაც თავისებური იერი აქვს, რომელიც ყოველთვის და ყოველ პირობებში ერთნაირი და ერთგვარი არ არის. შეიცვალა პირობები და , ამის გამო, ჯგუფურ მუშაობასაც გამოეცვალა სახიერება. არის შემთხვევები, როდესაც ჯგუთი შეხედვით ძნელია მისი ჯგუფობრივ მუშაობის დამამტკიცებელ გარემოებად აღიარება, მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდებით, უსათუოდ ჯგუფობრივობის ძველ ფესვებზე აღმოცენებული ახალი ყლორტები შეგვრჩება ხელში.

ყოველ შემთხვევაში,როგორც არ უნდა იყოს ჯგუფურ მუშაობაზე შეყვარებულთა ტაქტიკა და სტრატეგია, ეს ამბავი გამოუმჟღავნებელი არ დარჩება და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მთავარი ამოცანა ამჟამად სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აქეთკენ მოაქციოს დიდი ყურადღება, ჯგუფურ მუშაობას და ჯგუფობრივობას შეებრძოლოს მთელის სიძლიერით, როგორც პროლეტარულ, ისე უპარტიო მწერალთა შორის. გარეშე ამისა საბჭოთა მწერლობა საქართველოში ვერ წავა ისეთი მაგარი, ისეთი ძლიერი მუხლით წინ, როგორც ეს საჭიროა, უამისოდ ის თავს ვერ გაართმევს იმ რთულსა და ძნელ ამოცანებს, რომლებიც ჩვენ წინაშე არის დასმული.

საკავშირო საბჭოთა მწერლების ორგკომიტეტის მეორე პლენუმმა ამიერ-კავკასიის ლიტერატურული ორგანიზაციების მოხსენებების მოსმენისა და შეფასების შემდეგ ჩვენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს — განსაკუთრებით სწორედ ამ ნაკლზე მიუთითა.

განცხადებები, რომლებიც ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა, სადაც ერთი წყება ამხანაგები აღიარებენ თავიანთ ჯგუფობრივ მუშაობას და შეპირებას ამიერიდან ჯგუფობრივობაზე ხელის აღების შესახებ, უსათუოდ გვაძლევს საბუთს იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ამხანაგები თავიანთ განცხადებას საქმესაც შესატყვის მოაყოლებენ. გარეშე ამისა, ამ განცხადებების ფასი, რასაკვირველია, ერთობ მცირე იქნებოდა.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ვაწარმოოთ შეურიგებელი ბრძოლა კლასობრივი მტრის ყოველგვარი გავლენის წინააღმდეგ ლიტერატურაში, დავრაზმოთ ჩვენი შემოქმედებითი ძალები იმ დიადი ამოცანების განსახორციელებლად, რომელსაც დადგენილება გვისახავს. ყურადღების ცენტრში უნდა დავაყენოთ შემოქმედებითი საკითხები; ბრძოლა **ხარისხისათვის.**

—:—

ზედმეტია იმის ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მასიურ მუშაობას.

მუშათა და კოლმეურნეთა — ამ ახალი ცხოვრების კალატოზების რიგებიდან წამოსული ახალი ძალების მწერალთა რიგებში ჩაყენება, მათი ბევრის მომცემი; მაგრამ ჯერჯერობით მცირედის შემძლები ნიჭისა და ოსტატობის გახსნა და ხელმძღვანელობა — აი რა საპატიო, რა საპასუხისმგებლო მოვალეობა აქვს დაკისრებული დღეს მწერალთა კავშირს. და აშკარად უნდა ვთქვათ, ჩვენ ამ საქმეს ცუდათ ვაკეთებთ, სუსტია და უმნიშვნელო ჩვენი მუშაობა ამ დარგში.

მასიური მუშაობის ფორმები მრავალნაირია. არც ერთის არ გვმართებს სათვალავიდან დაკარგვა და მიფუჩეჩება. 23 აპრილის დადგენილების მეორე წელში გადავდივართ, ეს წელი ჩვენი მასიური მუშაობის გაფართოების და გაღრმავების წელი უნდა იქნეს. საჭიროა მწერალთა [illegible] მაღალი აქტივის მჭიდრო დარაზმვა ამ საქმის გარშემო. უფრო ხშირად უნდა გამოჩნდნენ ჩვენი მწერლები მუშათა კლუბებში, უფრო ხშირი და სისტემატიური (ესაა მნიშვნელოვანი!) და ხანგრძლივი (ესეც!) უნდა იყოს ჩვენი მწერლების კოლმეურნეობებში გამოჩენა და მუშაობა. ეს საჭიროა არა მარტო იმისათვის, რომ მუშათა კოლმეურნეთა წრეში ლიტერატურისათვის შესამატებელი და შესავსები ძალები გამოვძებნოთ, არამედ იმისათვისაც, რომ თვით ჩვენ პირისპირ ხელი შევახოთ ახალი ცხოვრების სახეს, ღრმად ჩავწვდეთ ახალი ცხოვრების დუღილს. მხატვრულად გამძლე ნაწარმოები უამისოდ არ დაიწერება!

—:—

ერთი თვალსაჩინო ნაკლი ჩვენ მუშაობაში სხვათა შორის ისაა, რომ მეტის-მეტად სუსტია ჩვენი კავშირი ადგილებთან. არსებობს განყოფილება **ქუთაისში,** მაგრამ ის თითქმის სავსებით მოწყვეტილია ჩვენგან. მათი მუშაობა ჩვენი გავლენისა და მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს. იგივე და უფრო
ქ ის იმ სალიტერატურო ო
ციების შესახებ, რომლები
ბობს **სამხრეთ-ოსეთში, აჭ**
ში და აფხაზეთში.

საკავშირო ორგკომიტეტ
პლენუმის მუშაობის შესახე
გვმართებდა, რომ ამ ორგანიზაციებ
ში მოხსენებები გაგვეკეთებია, მაგრამ არც ეს საქმე გაგვიკეთებია.

ეკამდე
პედიებისათვის ყოველ
ლი მასალის მიწოდებ
რიგებლად პრეზიდიუ
რომელშიდაც შედი
ი, ბ. ჟღენტი და ს.
მწერლობა და
გაზეთი
ფილისის ყოველდღიუ
ადგილი

პრეზიდიუმს გადაწყვეტილი აქვს ახლო მომავალში სამხრეთ-ოსეთში, აჭარისტანში და აფხაზეთში ორორი ამხანაგის გაგზავნა. ამ ამხანაგებს დაევალებათ, როგორც ადგილობრივი ორგანიზაციის შესწავლა და პრაქტიკული ღონისძიებების გამომუშავება, ისე შემდეგ ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმზე მოხსენების წარმოდგენა. ამ ამხანაგების ერთი მოვალეობა ისიც იქნება, რომ ისინი ადგილობრივ გააკეთებენ მოხსენებას მეორე პლენუმის მუშაობის შესახებ და დაამუშავებენ ამ პლენუმის მიერ ამიერ-კავკასიის სალიტერატურო ორგანიზაციების მუშაობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციას.

ამით უნდა დაიწყოს ჩვენი ცოცხალი კავშირის დამყარება ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა შემდეგის გახსენება. ჩვენი **„სალიტრატურო გაზეთი"** და მწერალთა კავშირის ჟურნალები სულ მცირე (მგონი უფრო სწორი არავითარი რომ გვეთქვა—ის უფრო იქნებოდა) ყურადღებას აქცევს ადგილობრივ ბეჭდვით ნაწარმოებს. ალაგ-ალაგ გამოდის წიგნები, აფხაზეთში მაგალითად გაზეთიც კი გამოდის, ხოლო ქუთაისს წელს გაზეთის გარდა ერთი კრებულის გამოცემაც მოუხერხებია. საჭირო იყო მათი გარჩევა, მათი ნაკლის გამოჩენა და მითითება, მიღწევებისა და ღირსების ნახვა და წახალისება.

ეს დარგი ჩვენი მუშაობის საზოგადოდ ერთობ სუსტია.

კრიტიკა-ბიბლიოგრაფია მეტისმეტად სუსტად არის დაყენებული, როგორც ჩვენ გაზეთში, ისე ორთავე ჟურნალში.

—:—

უკვე ყველამ შევაჩვიეთ ყური, რომ კრიტიკა საზოგადოთ ჩამორჩენილი დარგია ჩვენ მუშაობაში. ამის შესახებ დავა აღარ არის, თვით კრიტიკოსებიც არ უარყოფენ ამ ამბავს, მაგრამ... ჩამორჩენილობა, როგორც მძიმე ლოდი მაინც გაურკვევლად ძევს ჩვენ წინაშე და ხელს გვიშლის წინსვლასა და დაწინაურებაში.

უმჯობესი იქნებოდა, რომ სიტყვას საქმეც მოყვეს! ჩვენ კი ამ მხრივ არაფერი გაგვიკეთებია, გარდა იმისა, რომ ლაპარაკით ვაბრუებთ და შეჩვენება-შერისხვას გამოუვლეველად ვუგზავნით ჩვენ კრიტიკოსებს.

საქმეა საჭირო!

პირველ ყოვლისა საჭიროა **კრიტიკოსების თათბირის** მოწვევა. კრიტიკის მორიგი პრობლემებისა და ამოცანების საფუძვლიანად გამოკვლევა და შესწავლა — ეს იქნება ამ თათბირის მუშაობის საგანი.

კრიტიკა ჩვენში დღემდე კუსტარულია, თვითეული კრიტიკოსი ყოველგვარ გეგმის გარეშე მუშაობს. ხშირია, რომ ერთი მეორეს ნათქვამს იმეორებს და ამ მხრივ ზოგიერთმა კრიტიკოსმა მეტის-მეტ ოსტატობას მიაღწია. ეს მართლაც ძალიან „აადვილებს" საქმეს და „უმსუბუქებს"

მაგრამ სრულე-
ოვალეობას, რომ
აოიბული ნაწარ-
ისე, როგორც
ბოლო უნდა

განზრახული გვაქვს შემოვიღოთ წესად კრიტიკოსების აქტიური ჩარევა დისპუტებში, რომლებსაც მოაწყობს მწერალთა კავშირის ცალცალკე მწერლების ნაწარმოების შესასწავლად და შესაფასებლად. კრიტიკოსების მონაწილეობა ასეთ საქმეში ვერ იქნება მიზანშეწონილი, თუ მაგალითად ერთ მწერალის მუშაობის შეფასება მხოლოდ ერთ კრიტიკოსს მივანდვეთ და ხშირად ათეული წლის ნამუშევარის შეფასებისათვის მხოლოდ რამოდენიმე საათს შეველიეთ.

ეს არ კმარა! ასე ჩვენ მართებულსა და ვარგებულ კრიტიკას ვერ მივუყენებთ ჩვენი მწერლების მუშაობას.

მარცხი ასეთი მაგალითების ამ ახლო წარსულში გვქონდა რამოდენიმე და ამ მაგალითებიდან რომ გამოცდილება არ გამოვიტანოთ დასაძრახისი იქნება.

წელს ისეთია პირობები, რომ შეუძლებელი იქნება კრიტიკოსების ცალკე ჟურნალის თუ გაზეთის გამოცემა, ისე, მაგალითად, როგორც გამოდის რუსეთში **„სოვეტსკი კრიტიკ"**, მაგრამ საგაისოდ მაინც ასეთი ჟურნალის გამოცემის საჭიროება უსათუოდ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

გამომცემლობა **„ფედერაციას"** გეგმაში წელსაც უნდა შევიტანოთ ერთგვარი ცვლილება იმ მხრივ, რომ კრიტიკულ ნაწარმოებების გამოცემას მეტი ყურადღება ექნეს მიქცეული.

დრამატურგიის საკითხების დამუშავებისათვის მოწვეული თათბირი უკვე დამთავრდა, ამ თათბირმა ვერ გამოიღო ის შედეგები, რომელიც საჭირო და შესაძლებელი იყო.

სრულებით არ გარჩეულა საკითხი სასოფლო და საკლუბო თეატრების მუშაობის შესახებ. თათბირი გაეცნო ორგკომიტეტის მეორე პლენუმზე ამხანაგ ლუნაჩარსკის მიერ გაკეთებულ მოხსენებას. მოსმენილი იქნა მოხსენება ქართულ საბჭოთა თეატრებისა და დრამატურგიის შესახებაც, მაგრამ პრაქტიკული ღონისძიებები, კონკრეტული მითითება აქაურ ადგილობრივ ნაკლზე, თუ მიღწევებზე ცოტა იყო ამ მოხსენებაში.

ლუნაჩარსკის მოხსენების გაცნობა და შესწავლა საჭიროცაა და აუცილებელიც, არც მეორე მოხსენება იყო ზედმეტი, მაგრამ მთელი თათბირის მარტო ამითი შემოფარგვლა უსათუოდ იმის მომასწავებელია, რომ ჩვენ ამ პირველი თათბირით იმრიგად და იმ ზომად ვერ ვისარგებლეთ, რამდენადაც ეს საჭირო იყო.

მით უმეტეს ისმება საკითხი დრამატურგიის საკითხების შესახებ შემდეგი თათბირების მოწყობისა და მომავალში დრამატურგიულ სექციის მუშაობის გაცხოველების შესახებ.

არის კიდევ მთელი რიგი საკითხები, რომელსაც აქ არ შევეხებივართ.

ამ საკითხებს შემდეგი ნომრისათვის ვიტოვებ.

ნიკოლო მიწიშვილი

შემოქმედებითი გარდაქმნის გზაზე

იწყება ახალი წელიწადი, რიცხვით მეორე, ოცდა სამი აპრილის დადგენილების დღიდან.

თვალი რომ გადავავლოთ ჩვენი მწერლობის მიერ ამ ერთ წლის განმავლობაში უკან დატოვებულ ორგანიზაციულ და შემოქმედებითი გარდაქმნის გზას და ამის ნიადაგზე გავითვალისწინოთ ჩვენი უახლოესი ამოცანები,—შემდეგნაირად წარმოგვიდგება მიმდინარე წელს გარდასაწყვეტი მთავარი საკითხები:

1) **ჯგუფობრივობის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია.** ეს ნიშნავს მწერლობის ხელახალ დახარისხებას და ამასთან დაკავშირებული მუშაობის გაცხოველებას ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მწერლობის შემოქმედებითი, აქტიური ნაწილის ერთ მთლიან ფრონტად შეკავშირებას ყოველგვარ შტამპის და ხალტურის წინააღმდეგ.

ეს ნიშნავს აგრეთვე მწერლობაში ამხანაგური ურთიერთობის დამყარებას და ურთიერთშორის შემოქმედებითი კონტაქტის გაძლიერებას.

ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით აღსანიშნავია, ვინაიდან ამ ბოლო ხანებში ნამეტან ცუდმა ტრადიციებმა მოიდგა ფეხი ჩვენი მწერლობის ყოველდღიურ ურთიერთობაში.

2) **მწერლობის პოლიტიკურად საბოლოო გამორკვევა**, რაც დღემდე მთლიანად გამომჟღავნებული არაა. საბჭოთა მწერალისათვის რევოლიუციის 16 წლის თავზე და განსაკუთრებით კი 23 აპრილის დადგენილების შემდეგ, აღარ უნდა იდგეს საკითხი „სხვა გზებისა", რამდენადაც ყველაფრის გარდა, საბჭოთა მწერლების მთლიანი ორგანიზაციის შექმნაც ერთი რწმენის ადამიანთა შეჯგუფებას მოასწავებს, ამ რწმენის ნიადაგზე რომ გამოჩნდეს ჩვენი შემოქმედებითი ნიმუშები.

23 აპრილის მეორე წლის პრაქტიკაში ჩვენ უნდა მოვაღწიოთ იმ მდგომარეობას, რომ მწერალს აკრიტიკებდენ არა მარტო მისი პოლიტიკური პოზიციების მიხედვით, არამედ მისი შემოქმედებითი სისუსტისა და მიღწევების ნიადაგზეც.

წარსულში ეს მდგომარეობა ანელებდა ჩვენი მწერლობის შემოქმედებით ზრდას, საბჭოთა მწერლის შემოქმედება კი მხოლოდ მაშინ გაშლის ფრთებს, თუ მწერალში საბოლოოდ დაძლეული იქნება დღევანდელ სისტემისადმი გაურკვეველი და ორჭოფული დამოკიდებულება.

უნდა ითქვას, რომ ეს ჯერ კიდევ არაა ჩვენში სავსებით დაძლეული და ამ გზით კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

3) **უეჭველად უნდა შეიცვალოს მწერლის ყოფა**, რამდენადაც ჩვენი მწერლის უმეტესობა კიდევ კარჩაკეტილია, მოწყვეტილია დღევანდელ ცხოვრებას და რამდენადაც არაა მწერლისათვის შექმნილი ისეთი პირობები, რომ უზრუნველ იყოს მისი მუდმივი კონტაქტი (პრაქტიკული, შემოქმედებითი) ახალ სინამდვილესთან.

ჩვენი მწერლობის აქტივი, როგორც ვიცით, ძველ სოციალურ ნიადაგზეა აღმოცენებული და განვითარებული, (გარდა ახალგაზრდა კადრების ნაწილისა). ეს კონტაქტი, ამიტომ, განსაკუთრებით უნდა იქნეს გაცხოველებული და მწერალს საშუალება უნდა მიეცეს ახალ მასალასთან მჭიდრო დაკავშირებისა. ამ მხრივ საჭიროა მთელი რიგი სერიოზულ პრაქტიკულ ღონისძიებებისა, რაც ხშირად მწერლის პირადი ცხოვრების რეჟიმის ძირეულ გარდატეხას მოითხოვს.

ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინებანი, მწერლის ხანგრძლივი მიმაგრება ამა თუ იმ რაიონზე, ან წარმოებაზე, მისი პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაბმა და სხვ.—ასეთი ზომების ჩატარება უახლოეს ამოცანად სდგას მწერალთა ორგანიზაციის წინაშე.

4) **მწერლის საგამომცემლო შესაძლებანი** არ იყო სავსებით დამაკმაყოფილებელი არც 23 აპრილამდე, არაა დამაკმაყოფილებელი ეხლაც. ამ შემთხვევაში თუ ერთის მხრივ საქმე გვაქვს ფრიად დიდ პერსპექტივებთან და მათი განხორციელების რეალურ შესაძლებლობასთან, მეორეს მხრივ ჩვენ ვხედავთ საამისო პრაქტიკის მოუქნელობას, მწერლობის როლის შეუფასებლობას ჩვენი საგამომცემლო ორგანიზაციების მიერ, მწერლის ინტერესების უგულებელყოფას და სხვ.

კარდინალურად ისმება საკითხი ასეთი საგამომცემლო პრაქტიკის ძირიანად შეცვლისა, ვინაიდან სწორედ ამ ფრონტზე შეიძლება ყველაზე მეტ საფრთხეში ჩავარდეს 23 აპრილის პრინციპების განხორციელება. საქართველოს სინამდვილეში კი გამომცემლობა იმდენად დიდი ფაქტორია, რომ მწერლის მუშაობის გარდაქმნის საკითხში, გამომცემლობას საკმაოდ ხელშემშლელი როლი შეუძლია ითამაშოს, თუ ჩვენი საგამომცემლო ყოველდღიური პრაქტიკა ძირიან-ფესვიანად არ შეიცვალა.

5) **აპარატის პატრიოტიზმი ერთის მხრივ და შიში ამ აპარატისადმი** ჯერ კიდევ არაა დაძლეული მწერალთა ორგანიზაციაში.

თუ ერთის მხრივ მწერლობაში საჭიროა ყველა საბჭოთა ძალების შემოქმედებითი კონსოლიდაცია, ამავე დროს აუცილებელია ამ ძალების პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაბმა და თვითეული მწერლის მიერ ინტერესების გამოჩენა მწერალთა ორგანიზაციის საქმიანობისადმი.

აქამდე ხშირად ეს ინტერესი წვრილმანი კონკლავების იქით არ გადიოდა.

საჭიროა იდეური შინაარსით ავსება ჩვენი საორგანიზაციო ნაბიჯების, რომ თვითეული მწერალი გრძნობდეს თავს ამ საქმიანობის მონაწილეთ და პასუხისმგებლად. ეს უფრო შეამჭიდროებს ჩვენს ძალებს და შეასუსტებს იმ უნდობლობისა და ხშირად ჭაობის ატმოსფერას, რომელმაც ასეთი ცუდი როლი ითამაშა 23 აპრილამდე.

6) **ახალგაზრდობის მოვლა პატრონობის საკითხი** და ამ ძალების მეტი მზრუნველობის ქვეშ დაყენება ჯერ, შეიძლება ითქვას, არც კი დასმულა.

თუ ახალგაზრდობას სჩვევია ერთგვარი ყოყოჩობა და შეურიგებლობა, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ თვითეული მწერალი და მთლიანად ორგანიზაცია თავისუფალი იყოს მოვალეობისაგან დაიცვას ახალგაზრდა ძალები, მოუაროს და გზა მისცეს მას.

ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები ვერ არიან ჩაყენებული საჭირო მატერიალურ პირობებში, ხშირად არანორმალურია მათი შემოქმედებითი მუშაობის რეჟიმი, ხოლო დატუქსვის, იზოლიაციის, გაბრაზების მეთოდები კი ასეთსავე კატეგორიის რეაქციას იწვევენ ახალგაზრდობაში და საჭიროა, რომ ეს და ამასთან დაკავშირებული საკითხები დაისვას არა მარტო მწერალთა წრეებში და მწერალთა ორგანიზაციის შიგნი.

ძველი და ახალი თაობის ადამიანური და შემოქმედებითი დაახლოვება—ეს არაა მარტო საორგანიზაციო ხასიათის ამოცანა.

თუ მიმდინარე წელს, პარტიისა და ხელისუფლების წინამძღოლობით, მწერლობამ და მისმა ორგანიზაციამ შესძლო თუნდაც ზემო ჩამოთვლილი ამოცანების განხორციელება—ჩვენი საბჭოთა მწერლობის წინაშე უფრო გაიშლება ის დიდი პერსპექტივები, რომელიც დააყენა 23 აპრილის დოკუმენტმა და მწერლის შემოქმედებისთვის ეს პერსპექტივები უფრო ცხოველმყოფელი შეიქმნება.

პ. ჩხიკვაძე

ის[illegible]ს თავზე

ერთი წელი გავ[illegible] საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ[illegible] ლი დადგენილება გ[illegible] სალიტერატურო ორ[illegible] ხის შესახებ.

საბჭოთა მწერლებ[illegible] ვისებურად" გაიგეს [illegible] ხედავად იმისა, რომ [illegible] ულ დოკუმენტში [illegible] გარკვევით არის ნა[illegible] ცა პროლეტარული ლიტერა[illegible] ლოგების კადრები უკვე გაიზარდა, ც[illegible] ოიკა ქარხნებიდან და კოლმეურნეობებიდან დაწინაურდენ ახალი მწერლები და მხატვრები, არსებულ პროლეტ. სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა (პრ. მწ. ასოციაციები) ჩარჩოები უკვე ვიწრო ხდება და აფერხებს მხატვრული შემოქმედების სერიოზულ გაშლას"... ამიტომ „გაუქმდეს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია" და ყველა ის მწერლები, რომლებიც მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას და ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში, გაერთიანებულ იქნან საბჭოთა მწერლების მთლიან კავშირში, სადაც შეიქნას კომუნისტური ფრაქცია".

ყველაფერი ნათლად და გარკვევით არის ნათქვამი. სამწუხაროდ, ჩვენში, ბევრი ასე ფიქრობდა: პროლეტარული მწერლობის ასოციაციის, როგორც ორგანიზაციის, ლიკვიდაციასთან ერთად, ამ დადგენილების საფუძველზე თითქო ხდებოდა თვით პროლეტარული მწერლობის ლიკვიდაციაც და მყარდებოდა კლასობრივი ჰარმონია, სადაც ახლად დაარსებულ, საბჭოთა მწერლობის ორგანიზაციაში, გაერთიანებული მწერლები შეადგენენ ერთ მთლიან ოჯახს ყოველგვარ იდეურ დიფერენციაციის გარეშე, რომ ამიერიდან ყველას შეუძლია სწეროს როგორც სურს, რაზედაც სურს, და რომ ყოველგვარი იდეოლოგიური მიჯნა მოშლილია და სხვა.

რომ ეს ასე იყო, საკმაოა გადავათვალიეროთ ჩვენი საგანგებო ყრილობის სტენოგრამა და კიდევ უფრო დარწმუნდებით, თუ რა რიგად მძლავრი იყო ზემოთ აღნიშნული ტენდენცია. ზოგიერთები ისე გათამამდენ, რომ პროლეტ. მწერალთა ასოციაციის არსებობა ისტორიულად შეცდომად გამოაცხადეს და ხაზი გადაუსვეს იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც პრ. მწ. ასოციაციას გააჩნდა. უდავოა, რომ რაპპის ხელმძღვანელობას ახასიათებდა ჯგუფობრიობა, ადმინისტრატიული მბრძანებლობა, თვითკრიტიკის ჩახშობის ცდები და სხვა პოლიტ.-ლიტერატურული შეცდომები. მაგრამ ძირითადში ამ ორგანიზაციის თავის დროზე არსებობა და მისი მუშაობა, რომ გამართლებული იყო, ეს დადგენილებაში აღნიშნულია და სინამდვილეშიც ასე იყო, სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ამ ძლიერი კადრების მომზადება, რაც საფუძვლად დაედო 23 აპრილის ისტორიულ დადგენილებას.

პროლეტარული მწერლობის როლის ასეთმა შეუფასებლობამ მწერალთა ცალკე ფენების მიერ, საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია ზოგიერთ პროლეტ. მწერლებში. ზოგი ისე დაფრთხა და დაიბნა, რომ თავიანთ საჯარო გამოსვლებში პროლეტარული მწერლობის თერმინის ხსენებასაც კი შეშინდა. ამბობდენ: „ყოფილი პროლეტარული მწერლები"-ო და სხვა. ასეთ განწყობილებებს ჩვენ მედგრად შევებრძოლეთ. პროლეტარული მწერლობა (მათ შორის კომფრაქცია) კვლავ რჩება წამყვან ძალად საბჭოთა მწერლობაში, რჩება მწერალთა შორის დიფერენციული მიდგომა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მწერლები ორგანიზაციულად გაერთიანებულნი არიან ერთი მთლიან კავშირში, საბჭოთა მწერლების კავშირში. საბჭოთა მწერლებმა თავიანთი [illegible] სოციალისტურ მშენებლობა[illegible] ტისტის ივ. [illegible]ჩვენონ ნამდვილი შემოქმედებით. ამ ორ[illegible]ული ფაქტებით და არა დეკლა[illegible]სად ახალგა[illegible]პირი განცხადებით და სხვა.. [illegible]ცა, თუ რას აღინიშნოს, რომ ჩვენი ჯგუ[illegible] [illegible]თმა წევრებმა მართლაც დაუშ[illegible] [illegible]ხენე" შეცდომები საბჭოთა [illegible] ამ[illegible]მი დიფერენციულ მიდგომის [illegible] მიწიშვილის ივ. გომართელ[illegible] [illegible] დევდარიანთან გაიგივება და [illegible]ერთ საბჭოთა მწერლების (ჯავახიშვილისა და კ. გამსახურდიის) აშკარა მტრების ბანაკში გამოცხადებით. დაუშვეს „მემარცხენე" შეცდომები კლასიკოსებისადმი დამოკიდებულების საკითხში და სხვ.

ეს იყო ამ ერთი წლის წინად, ცეკას ისტორიულ დადგენილების გამოქვეყნების პირველ პერიოდში... მას შემდეგ უკვე ერთმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გამოირკვა და დღეს ყველასათვის აშკარა ხდება ძველი პოზიციების შეცდომობა. დღეს ყველასათვის ნათელია და აშკარა პროლეტარული მწერლობის და მისი კომუნისტური ფრაქციის წამყვანი როლი საბჭოთა მწერლობაში, საბჭოთა მწერლობის შიგნით იდეური ბრძოლის აუცილებლობა.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ პროლეტარული მწერლობის როლის შეუფასებლობის აშკარა რეციდივებს ადგილი აქვს 23 აპრილის დადგენილების წლის თავზე და თვითკრიტიკის წესით არ შეიძლება ამას ყურადღება არ მივაქციოთ. მაგ. ასეთი მოტივები მოისმოდა 23 აპრილის საზეიმო სხდომაზე **მიხ. ჯავახიშვილის** მიერ წარმოთქმულ სიტყვაში.

ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამ არის გაკეთებული, მხატვრული პროდუქციის უმრავლესობა, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში დაიბეჭდა, თვისობრივ და მხატვრული ზრდის უდავო მაჩვენებელია, თუმცა ხშირად ადგილი აქვს გაუმართლებელ, ხალტურულ ნაწარმოებების ბეჭდვასაც. ამას კი ზოგიერთი ამხანაგი მწერალთა ფენების (მიყურჩებულ ფენების) აქტივიზაციად თვლის. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ცალკე მწერლების, აქამდე მიყურჩებულ მწერლების, აქტივიზაცია არა „რამე" ნაწარმოების დაბეჭდვით უნდა განისაზღვროს, არამედ ისეთი ნაწარმოებით, რომელსაც განსაზღვრული მხატვრული და საზოგადოებრივი ღირებულება აქვს.

ამ ერთი წლის თავზე უნდა აღინიშნოს ლიტერატურული კრიტიკის სისუსტე, ჩამორჩენილობა. ჩამორჩენილობა დრამატურგიისა, რასაც მწერალთა ორგანიზაციამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს მომავალ მუშაობაში. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში არ ექცეოდა სათანადო ყურადღება შემოქმედებითი საკითხების დაშვებას. არ არის გაშუქებული და დამუშავებული როგორც ეს აუცილებელია სოციალისტური რეალიზმისა და რევოლიუციურ რომანტიზმის საკითხები.

მე ამ ერთი წლის განმავლობაში დავასრულე ტრილოგია „ნაბიჯების" პირველი წიგნი. დავწერე მოთხრობა „რომანტიული ამბავი", დავამუშავე მეორე წიგნის მასალები და დავიწყე მოთხრობა „კონსტანტინე დიდმშვილიანი". ჩემს შემოქმედებით მუშაობას უდიდესი სტიმული მისცა ცეკას ისტორიულმა დადგენილებამ. ამ დადგენილებამ უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა თვითეულ საბჭოთა მწერალს.

მე მზადა ვარ მთელი ჩემი შემოქმედებითი უნარი და ენერგია დავრაზმო დიდი იდეებით დატვირთულ ბოლშევიკური ნაწარმოების შექმნისათვის... ვიბრძოლო ყოველგვარ ჯგუფობრიობის წინააღმდეგ როგორც პროლეტ. მწერლობის შიგნით, ის საბჭოთა მწერლობის სხვა ფენებშიაც.

[illegible]იური ორკეს[illegible]

[illegible]უალად ძალიან ჩამორჩა. თად, ამ 7 [illegible]
[illegible]მედვილობაში ჩამოსულ [illegible]ური ორკესტ[illegible]
[illegible]იაციისტები, [illegible]
[illegible] მხოლოდ სა[illegible]
[illegible]ულის პერიოდში —
[illegible]ო. ვერც ერთი ზემო-
[illegible]ნიზაცია ვერ აკმაყო-
[illegible] მოთხოვნებს, რომელ
[illegible]ყესების ხელოვნებას.
[illegible]ოეთება, რომ ჩვენი
[illegible]ზაციების მხატვრული
[illegible] დაბალია მუშა-

ტ. ტაბიძე

ახალი ეტაპი

საკავშირო კომპარტიის ცეკას შარშანდელი წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების მნიშვნელობა ერთი და ორი წლით არ ამოიწურება.

ეს დადგენილება სამხატვრო და სალიტერატურო ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ დღესაც რჩება სამოქმედო პროგრამად და კიდევ უფრო ამახვილებს საბჭოთა მწერლების ყურადღებას, უფრო ართულებს მწერლობის პასუხისმგებლობას და უფრო და უფრო მეტ სტიმულს იწვევს ოსტატობისთვის ბრძოლისათვის. ჩვენი გმირული ეპოქა, როცა სინამდვილეთ ხდება კაცობრიობის სამუდამო ოცნება ადამიანის განთავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის დამყარებისათვის, მოითხოვს ღირსშესანიშნავ მწერლობას და არავის არ უკვირს თუ მწერლობა ჯერ კიდევ ვერ დაეწევა ძლევამოსილ სოციალიზმის მშენებლობის ტემპებს. სამაგიეროთ მთელი მსოფლიოს მოწინავე და მოაზროვნე მწერლობა სიხარულით მისალმება საბჭოთა კავშირის მწერლობას, რომელსაც ერგო ბედნიერება, იყოს ერთ-ერთი შემოქმედებითი უკეთესი სოციალისტურ საზოგადოების ახალი შენებისა.

ჯიუტი დღე ზრდის სხვადასხვა ქვეყნებში საბჭოთა კავშირის მეგობრებს და სოციალისტურ კულტურის უპირატესობას ერთბაშად აღიარებენ ისეთი სხვადასხვა თაობისა და მიმართულების მწერლები, როგორიც არიან ბერნარდ შოუ, რომენ როლანი და ანდრე ჟიდი.

ამ ფონზე გასაგები ხდება აღფრთოვანება და შთაგონება, რომელსაც იწვევს ცეკას აპრილის დადგენილება იმ მწერლებში, რომლებიც ორგანიულად არიან ჩაბმული სოციალისტურ მშენებლობაში. თუ წინად იყო გატიშვა, ჯგუფობრიობა და ურიგო კარიერიზმი რაპპ-ის აპარატში, დღეს ამის ამოფხვრისათვის თვითონ რაპელები იბრძვიან. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ მახინჯ ჩვეულებას მარტო რაპპ-ში ჰქონდა ადგილი. საბჭოთა მწერლობა უფრო უნდა იბრძოდეს საკუთარი თავის გარდაქმნისათვის, ძველი მავნე და დღეს შეუფერებელი ტრადიციების წინააღმდეგ, რომ ღირსეულად შეასრულოს თავისი დანიშნულება. არა თუ წვრილ ბურჟუაზიულ ფენებიდან გამოსული და ინდივიდუალიზმის ყველა მომაკვდინებელი ცოდვებით დამძიმებული ოქტომბრის წინა დღეს უპარტიო მწერლობა საჭიროებს გარდაქმნას, არამედ ოქტომბერთან მოსული მწერლობაც.

მთელი ჩვენი მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მითითებათა საფუძველზე, რომელსაც იძლევა კომპარტიის მუშათა კლასის ბელადი ამხ. ი. სტალინი, რაზედაც საკავშირო ორგკომიტეტის პლენუმზე ლაპარაკობდა ამხ. გრონსკი.

როგორ ხდება აპრილის ისტორიულ დადგენილების რეალიზაცია მწერლობაში, უკეთ ეს უნდა იყოს ჩვენი წერილის საგანი. უეჭველია თანდათან იწმინდება შემოქმედების ატმოსფერა, ჯგუფობრიობას და პიკირობას ნაკლები გასავალი აქვს და ხდება აქტიური ძალების კონსოლიდაცია. მხოლოდ ჯერ კიდევ ბევრია ამ მხრივ გასაკეთებელი, უეჭველია თანდათან მატულობს პროდუქციის ზრდა და ხარისხი.

ჩვენ პროდუქციის ზრდას მწერლობაში არ ავლენსავთ მარტო წიგნების გამოშვებით, და ამ წიგნების მოცულობით. პარტია ლოზუნგია, რომ მარტო ჰექტარები კი არ ჰქმნიან კარგ სოციალისტურ მოსავალს, არამედ ამ ჰექტარების დამუშავება და ხარისხი პოეზიის კლასიკოსების: თ. ტიუტჩევისა და ნ. ბარათაშვილის მაგალითი კლასიკურივე რჩება, შეიძლება პატარა ტომებმა დააყიროვოს ბიბლიური აღნაგობის ცნობები.

რასაკვირველია, ჩვენი ეპოქა მოითხოვს დიდ ტილოებს, მაგრამ ტილოები ტილოს მეტრებით კი არ იზომება, არამედ ნახატის აზრის (ზამისელ) გრანდიოზულობით.

შესაძლებელია ყოველ თვეში და წელიწადშიც არ დაიწეროს ეპოქალური ნაწარმოები, მაგრამ ამიტომ ხელოვნური აჟიოტაჟი არ უნდა იყოს საჭირო, თუ ყველა მწერალი წამყვანათ გამოცხადდა და ოსტატების ულტაბაშით, მაშინ წასაყვანი არავინ დარჩება და საბჭოთა შეგნებული ახალი მკითხველი ეჭვით შეხედავს ყალბ ოსტატს და არსადაც არ წაჰყვება.

ამ მხრივაც ჩვენ გვაქვს და გვექნება მიღწევები.

ჩვენ დიდი უდიდესი როლი საზოგადოებრივ კრიტიკისა და განსაკუთრებით მარქსისტულ კრიტიკისა, რომელიც ეხმარება მწერალს გაერკვეოს სინამდვილეში. მაგრამ აღნიშნულია საერთოდ, რომ კრიტიკის სიმახვილე გამოიყენოს მწერლის აღზრდისათვის. ამ მხრივაც იზრდება პასუხისმგებლობა, ახალგაზრდა კრიტიკოსები ეწაფებიან სწავლას და კონკრეტულ კრიტიკას მეტი გასავალი აქვს, და თუ ხანდისხან ხდება რეციდივი კრიტიკოსის რომელიმე მწერალთან ან ჯგუფთან მიმაგრებისა და ქადაგების ციხიდან მწერლობის სიმაგრეების და სიმაღლეთა აღების ყალბი ნიშნებისა — ამას ხელმძღვანელობა ებრძვის.

ამ მხრივ ჩვენ გვაქვს და გვექნება მიღწევები.

რასაკვირველია, პოეზიაში იყვნენ დიარიან ბევრი მეზღვერე და ფარისეველი, თუ დღეს ვისმეს ახსოვს ეს იგივეო.

პარტია მოითხოვს დღეს არა დეკლარაციებით ლაპარაკს მწერლიდან, არამედ მხატვრულ ნაწარმოებს.

ხელოვნება მასებისთვის ბრძოლის იარაღია, თუ ის აღაფრთოვანებს მკითხველს, გამოიწვევს მასში მეტ ენთუზიაზმს და დაანახებს ახალ პერსპექტივებს — ეს იქნება საბჭოთა ხელოვნება და მხოლოდ იმ მწერლისაგან ისწავლის მისი თანამედროვე და შემდეგი თაობაც, და თუ როგორ იცის მუშათა კლასმა დაფასება თავის ოსტატის, ეს ჩვენ ვნახეთ სწორედ 23 აპრილის შემდეგ, როცა პირველ და უდიდეს პროლეტარულ მწერალს მაქსიმ გორკის მოსკოვში გადაუხადეს იუბილე—რადგან მაქსიმ გორკის ოსტატობა თვითონ მშრომელმა მასებმა დააფასეს და განიცადეს.

ის საქმეა და მიკერძოებულ კრიტიკოსს კი არ გამოუცხადებია წამყვანათ, არამედ მეწყურვილით მას ათეული წლების განმავლობაში მიჰყვებოდა მუშათა მკითხველები ქვეყნებში.

ამ საერთო მოსაზრებათა შემდეგ მეც მინდა ჩემ მკითხველებს გაუზიარო:

ამ წელს გამოვიდა—გამოდის: გამომცემლობა „ფედერაციაში"—ჩემი პოემების წიგნი, სახელგამში თითქმის სრული ლირიკული ლექსების კრებული, აკ. ისაკიანის პოემა „აბულ ალ. მაარის" თარგმანი და ნარკვევების წიგნი: „ახალი კოლხიდა", ვმუშაობ ჰაინრიხ ჰეინესა და ომარ ქაიამის ლექსების თარგმნაზე;

ზაფხული და შემოდგომა მინდა გავატარო ბაქოში და დაღესტანში. ბაქო მაინტერესებს, როგორც ახალი სოციალისტური ქალაქი, დაღესტანში კი მინდა ვიმუშაო რომანზე, რომელზედაც შვიდი წელია ვმუშაობ და ვფიქრობ—ეს წიგნია „იმამი", „დაძილი".

ეს პირველი ცდაა ჩემი მხატვრულ პროზაში—შეიძლება ეს იმის ბრალიც იყოს, რომ წლები და ხანი „სასტიკ პროზისკენ" მიზიდენ, ან და იმასაც, რომ ჩვენი ქარიშხლიანი ეპოქა გადაეზარდა ლირიკას.

თათბირი დრამატურგიაზე

17 აპრილს, საღამოს მწერალთა სასახლეში გაიხსნა თათბირი დრამატურგიის საკითხებზე.

თათბირი გახსნა ამხ. პ. მ. საყვარელიძემ.

ის გარემოება, სთქვა ამხ. პ. საყვარელიძემ, რომ საბჭოთა მწერლების სრულიად საკავშირო ორგკომიტეტის მეორე პლენუმმა, თავის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დასვა დრამატურგიის საკითხი და აგრეთვე ის, რომ მომხსენებლად ამ საკითხზე გამოვიდა ხელოვნების საუკეთესო მცოდნე ლუნაჩარსკი, მოწმობს იმას, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დრამატურგიას. პარტიის ძირითადად მოთხოვნას წარმოადგენს, რომ დრამატურგია უფრო მეტად, ვიდრე აქამდე იყო, ჩავაყენოთ სოციალისტური მშენებლობის სამსახურში. ამ ფუნქციას იგი წარმატებით შეასრულებს მხოლოდ იმ პირობით, თუ მაღალ მხატვრული სახეებით გააძლიერებს თავის ზეგავლენას მასებზე.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სიტყვას აძლევს საქ. კ.პ. (ბ) ცკ-ის მდივანი ამხ. გ. ყურულაშვილი.

ამხ. გ. ყურულაშვილის სიტყვა

თეატრი, ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა წარსულში და აქვს დღესაც.

ხელოვნების ვერც ერთი დარგი ისე სწრაფად ვერ მოქმედებს მასებზე, როგორც თეატრი. თეატრის ასეთ ძალას გრძნობდა ყველა კლასი, რომელიც იყენებდა მას თავისი გავლენის გასაძლიერებლად და ბატონობის განსამტკიცებლად. თვალი რომ გადავავლოთ თუნდაც ქართული თეატრის ისტორიას, დავინახავთ ამ დებულების სისწორეს. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის გარდაქმნა სოციალისტურ საფუძვლებზე, სოციალიზმის მშენებელ მასების კომუნისტური აღზრდა აი, რა განსაზღვრავს დღეს თეატრის ამოცანებს. ჩვენმა თეატრმა 1922 წლიდან ისეთი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, რომ დღეს ასეთ თეატრით შეუძლია იამაყოს საბჭოთა კავშირის ყოველმა რესპუბლიკამ, მაგრამ ის ნაკლი, რომელსაც ახასიათებს საბჭოთა თეატრს საერთოდ აქვს ქართულ საბჭოთა თეატრსაც. თეატრმა, როგორც სპექტაკლის კოლექტიურმა ორგანიზატორმა, წინ გაუსწრო დრამატურგიას. ჩვენში დრამატურგიის განვითარება ჩამორჩა თეატრალურ კულტურას. ეს იმას არ ნიშნავს რომ საბჭოთა დრამატურგიას მიღწევები არ ქონდეს. ჩვენ გვაქვს რამოდენიმე კარგი დრამატიული ნაწარმოები, მაგრამ ისეთი პიესები, რომელიც სისრულით გამოსახავდეს სოციალიზმის მშენებელ ახალ ადამიანს, ასეთი პიესები ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება. საბჭოთა თეატრის შემდგომი წინსვლა წარმოუდგენელია, თუ მისთვის არ შევქმნით მაღალი მხატვრული რეპერტუარი, ამიტომ ბრძოლა ხარისხისათვის დრამატურგიაში, დღეს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს თეატრალურ ფრონტზე.

თუ დრამატურგია ჩამორჩა თეატრს, ამაში ბრალი მიუძღვის საბჭოთა მწერლების კავშირსაც, კერძოთ კრიტიკას, რომელიც სათანადოთ არ უწყობდა ხელს დრამატურგიის განვითარებას.

საბჭოთა დრამატურგიის ამოცანები

(შ. დუდუჩავას მოხსენება)

საბჭოთა დრამატურგიის მთავარ ნაკლს წარმოადგენდა და წარმოადგენს აღწერილობითი მეთოდი, სქემატურობა, პრობლემების ზერელე ანალიზი, ნაკლები იდეური სიღრმე. დრამატურგიის საკითხი უკავშირდება შემოქმედებითი მეთოდის საკითხს. ჩვენ გვესაჭიროება პიესა, რომელიც არა მარტო უნდა მსჯელობდეს, არამედ მხატვრული სახეებით სათანადო ემოციონალურ ზეგავლენას ახდენდეს მასებზე. პარტია არ მოითხოვს დრამატურგია დაემყაროს ერთ რომელიმე მეთოდს, ერთ სტილს, პარტიამ მოგვცა სოციალისტური რეალიზმის [illegible] პრინციპიალური [illegible]რი გეზის მიცემა.

საბჭოთა დრამატურგიის განვითარება შეუძლებელია სოციალისტური რეალიზმის და რევოლუციური რომანტიზმის გარეშე.

შემდეგ მომხსენებელი გადადის დრამატურგიის ჟანრების საკითხზე. მომხსენებელი არ იზიარებს შეხედულებას, თითქოს საბჭოთა სინამდვილეში მიუღებელი იყოს კომედიის ჟანრი იმის გამო, რომ წინათ კომედია უმთავრესად მიმართული იყო არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. ასეთი შეხედულება შედეგია იმ გარემოების, რომ კომედიის პრინციპები მზამზარეულად გადმოტანილია წინანდელი ეპოქებიდან და არ ყოფილა ცდა კომედიის ჟანრის თანამედროვეობასთან დაკავშირების. საბჭოთა სინამდვილეც იძლევა ისეთ უარყოფით ფაქტებს, რომელიც შეიძლება გახდეს კომედიის ობიექტად. დღეს კომედია შეიძლება მიმართული იქნეს არა მარტო კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, არამედ თანამედროვე ახალი ადამიანის ზოგიერთი ნაკლის წინააღმდეგაც.

დასასრულ მომხსენებელი ეხება თავდაცვითი დრამატურგიას. საბჭოთა დრამატურგიის წინაშე დიდი ამოცანა სდგას: დრამატიულ ნაწარმოებში მან უნდა მოგვცეს წითელ არმიელი, მაგრამ არა მარტო როგორც სამოქალაქო ომების მონაწილე, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი, არამედ როგორც მშენებელი, როგორც სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის აქტიური მონაწილე.

ქართული საბჭოთა დრამატურგია

(ბ. ჟღენტის მოხსენება)

მომხსენებელი იძლევა რა საბჭოთა დრამატურგიის ისტორიის განვითარების მოკლე ანალიზს, საბჭოთა დრამატურგიის ისტორიას ჰყოფს სამ ეტაპად. თავის განვითარების პირველ პერიოდში საბჭოთა თეატრი საზრდოობდა თარგმნილი ლიტერატურით, მაგრამ ამასთან წარმოიშვა ორიგინალური დრამატურგიაც, გრ. რობაქიძის, ნ. შიუკაშვილის, ნ. აზიანის პიესების სახით, რომელიც თავისი შინაარსით არ შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა დრამატურგიად.

საბჭოთა დრამატურგიის მეორე ეტაპი იწყება პროლეტმწერლობის შესვლით დრამატურგიაში ამ პერიოდში იწერება კ. კალაძის, ალ. მაშაშვილის, პ. სამსონიძის პიესები და აგრეთვე პ. კაკაბაძის კომედია, პროლეტდრამატურგებმა გამოიჩინეს პროლეტარული ხედვა, მაგრამ მათი პროდუქციას ახასიათებდა ტიპების არა საკმაო რეალისტური გამოსახვა.

ქართულ საბჭოთა დრამატურგიის მესამე ეტაპი იწყება იმ დროიდან, როცა ძველი დრამატურგები თავის ნაწარმოებებში ხშირად ეხებიან თანამედროვე აქტუალურ საკითხებს, სოციალისტური მშენებლობის პრობლემებს, ეს ის პერიოდია, როცა იწერება შ. დადიანის „კაკალ გულში", „თეთნულდი", ს. შანშიაშვილის „აზნაური", „სამნი" გრ. რობაქიძის „[illegible]", გ. ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ" და სხვ.

თათბირი დრამატურგიის საკითხზე კამათით

კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. ბუხნიკაშვილმა, ს. მთვარაძემ, კ. ჩაჩავამ, ვ. გარრიკამ, აკ. ფალავამ, აკ. ვასაძემ, კ. კალაძემ, ს. ჩიქოვანმა, ლ. ესაკიამ, ლაღიძემ, ერ. ახტვატატუროვმა, შალვა დადიანმა, პ. ხამონიძემ, ს. ეულმა, შანშიაშვილმა, გ. ბააზოვმა, და რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელმა ანდრო ახმეტელმა.

რეზოლუციის დასამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია შვიდი კაცის შემადგენლობით.

მნათობი

[illegible]

10-12

[illegible]

1932

საკავშირო კომპარტიის ცეკას 23 აპრილის ისტორიული დადგენილების რეალიზაციისათვის ბრძოლაში გასული წლის მანძილზე საქ. საბჭოთა მწერლობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: საბჭოთა მწერლობის ყველა ძირითადი ფენების ამოძრავებისა, მათი კონსოლიდაციისა, ლიტერატურულ ფრონტზე ჯგუფობრიობის დაძლევისა და ლიტერატურულ მშენებლობის ახალი მეთოდების დამკვიდრების ხაზით. ყოველივე ამან თავისი გამოხატულება პოვა მხატვრულ პროდუქციაში. მწერლობის იდეური სიმტკიცე, მხატვრული ხარისხის მაღალი დონე, თემატიური აქტუალობა, მწერლობის უფართოესი ფენების მსოფლმხედველობითი დაახლოვება მუშათა კლასის იდეურ პოზიციებთან, ასეთია უმთავრესად გასული წლის ლიტერატურული პროდუქციის დამახასიათებელი ტენდენციები, რომელიც განსაზღვრავს ქართულ ლიტერატურაში ახალი, უმაღლესი ეტაპის დასაწყისს.

უეჭველია, რომ ქართული მწერლობის ზრდა ყველაზე მკაფიოდ ჟურნალ **„მნათობი"**-ს პროდუქციაში გამოიხატა. **„მნათობი"** საქართველოს საბჭოთა მწერლობის მთავარი ორგანოა და მასში გამოქვეყნებულ მასალათა მიხედვით შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ჩვენი მწერლობის მდგომარეობისა და დონის სურათი. ჟურნალ **„მნათობს"** არსებობის ათი წელი უსრულდება. იგი მნიშვნელოვანი მოვლენაა საერთოდ ქართული მხატვრული პრესის ისტორიაში.

კერძოდ საბჭოთა ლიტერატურის აღმოცენებისა და განმტკიცების საქმეში ამ ჟურნალის დამსახურება განუსაზღვრელია. ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა ქართული ლიტერატურის უდიდეს ნაწილს ანტიპროლეტარული ბანაკი წარმოადგენდა, როცა ლიტერატურულ ფრონტზე მოწინააღმდეგე კლასების აგენტურა გაცილებით ძლიერი იყო, **„მნათობმა"** გააერთიანა თავის გარშემო თანამგზავრთა პირველი კადრები, ხელი შეუწყო ბურჟუაზიულ, წვრილბურჟუაზიულ მწერალთა ფენების დიფერენციაციას, მისი საუკეთესო ნაწილის დაახლოვებას კულტურული რევოლიუციის პროცესებთან და ამავე დროს განვითარების მძლავრი იმპულსი შეუქმნა პროლეტარულ ლიტერატურის იმ ახალ თაობას, რომელიც დღეს ლიტერატურული ფრონტის ავანგარდულ და წამყვან ბირთვს შეადგენს.

თავისი არსებობის პირველსავე ეტაპზე **„მნათობი"** თავის სარედაქციო მუშაობის ხასიათს განსაზღვრავდა პარტიის სალიტერატურო-პოლიტიკური ხაზით. იგი ცდილობდა არ გამხდარიყო რომელიმე ლიტერატურული ორგანიზაციის, თუ დაჯგუფების მონოპოლურ ორგანოთ, იგი იბრძოდა თავის ირგვლივ მწერალთა უფრო ფართო ფენების შემოკრებისათვის და საბჭოთა მწერლობის დასაცავად „წითელი ხალტურისა" და საზოგადოთ დაბალი დონის მწერლობისაგან. 1925 წელში **„მნათობი"**-ს რედაქცია ხაზგასმით განმარტავდა, რომ მასალათა შერჩევის დროს რედაქციისათვის ერთად ერთ კრიტერიუმად მიჩნეული იქნებოდა საბჭოთა ხელოვნების პლატფორმაზე მდგომი მწერლის ლიტერატურული პროდუქციის მხატვრული ხარისხი. პარტიის სალიტერატურო ხაზიდან გამომდინარე ასეთ პოზიციაზე დგომამ **„მნათობი"** გადააქცია საბჭოთა მწერლობის განვითარების ერთ-ერთ უძლიერეს ფაქტორად. მაგრამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ლიტერატურულ ფრონტზე შექმნილმა არანორმალურმა მდგომარეობამ, ლიტერატურულ ფრონტის ძირითადი ორგანიზაციის, პროლეტმწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულმა პოლიტიკურმა, თეორიულმა და ორგანიზაციულმა შეცდომებმა თავისებური გავლენა მოახდინეს **„მნათობის"** მუშაობაზეც. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ 30—31 წლის განმავლობაში **„მნათობმა"** დაჰკარგა მის მიერ წინა წლებში მოპოვებული საზოგადოებრივი რეზონანსი და უფერულ, უსიცოცხლო გამოცემად გადაიქცა.

1932 წლის დასაწყისიდანვე ჟურნალ **„მნათობი"**-ს მუშაობაში ძირითადი გარდატეხა ხდება და იგი ისევ იბრუნებს საბჭოთა ლიტერატურის ხელმძღვანელ და მებრძოლ ორგანოს ხარისხს. 1—2 ნომერი უკვე შეიცავს ხელშესახებ ნიშნებს ლიტერატურული ინტელიგენც. ძირითადი ფენების შემობრუნებისას პროლეტარ. მხარეზე. რედაქციის განახლებული ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ 23 აპრილის ისტორიულ დადგენილებამდე იჩენს ამ პროცესისათვის ალღოს აღების უნარს, ხოლო 23 აპრილის ისტორიული დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ ჟურნალის მთელი მუშაობა მიმართულია ამ დადგენილების შემოქმედებით რეალიზაციისაკენ. ჟურნალის მუშაობის საერთოდ დასახასიათებლად უნდა ითქვას, რომ მის ფურცლებზე გასული წლის განმავლობაში გამოქვეყნდა ქართული პროზისა და პოეზიის თითქმის ყველა საუკეთესო ნიმუში. ამ მხრივ ჟურნალი უსათუოდ წარმოადგენდა ჩვენი საბჭოთა მწერლობისადმი ტონის მიმცემ ორგანოს.

ჟურნალ **„მნათობი"**-ს გასული წლის პროდუქციის ანალიზი ფაქტიურად ნიშნავს მთელი ქართული ლიტერატურის ახალი ეტაპის განხილვას. ცხადია, ეს ამოცანა აღემატება ამ საბიბლიოგრაფიო ხასიათის წერილის მასშტაბს და შესაძლებლობას. ამიტომაც ჩვენ განვისაზღვრებით მხოლოდ ჟურნალის მუშაობის ძირითადი დარგების ზოგადი შეფასებით.

„მნათობის" დასახელებულ ნომრებში აღსანიშნავია პოეზიის განყოფილება. გამოქვეყნებული პოეტური პროდუქცია, მცირე გამონაკლისთა გარდა, უთუოდ ხასიათდება თემატიური სიახლით. პოეტური მეტყველების ახალი ხარისხი აქ მჭიდროთ უკავშირდება იდეურ სიმტკიცისა და პროლეტარული ხედვის დამკვიდრებას, ჩვენი პროლეტარული პოეზიის ახალი ეტაპის დამახასიათებელ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ჟურნალში გამოქვეყნებული **ფრ. ნაროუშვილის**—„ერი ყლაპია", აი პოემაში ავტორი უდავოთ აღწევს თავისი პოეტური განვითარების მაღალ საფეხურს, როგორც შემოქმედებითი დიაპაზონის, აგრეთვე იდეური აქტუალობის მხრივ. აგრეთვე ავტორისათვის შემოქმედებითი დაწინაურების მაჩვენებელია **კარლო კალაძის** ორი პოემა „ამბავი აჭარელ ამხანაგებზე" და „უჩარდიონი". როგორც ერთი ისე მეორე ნაწარმოების მასალა აქტუალურია. ამ პოემების სახით კალაძემ პირველად სცადა სიუჟეტურ კომპოზიციაზე დაყრდნობა. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას პოეტის ნაყოფიერ მუშაობას პოეტური თხრობის თავისებურ ხერხებზე. „უჩარდიონმა" შექმნა საკმაო საზოგადოებრივი რეზონანსი. ცხადია იგი დაზღვეული არ არის მნიშვნელოვან იდეურ ჩავარდნებისაგან და ფორმალური ნაკლოვანებათაგან.

პროლეტარული პოეზიის ყველაზე ახალგაზრდა თაობამ, რომელიც წინა წლებში დამწყები და სადებიუტო ნაბიჯებით ამოძრავდა, **„მნათობი"**-ს დასახელებულ ნომრებში მოთავსებულ პროდუქციით გვიჩვენა შემდგომი ზრდა. **ირაკლი აბაშიძის** „შექმენ გმირი" და „ოდიშის პლანტაციები", **კაჟაიძის** „ჭალარა მწყემსი და თეთრი ლაფშა", **ალ. გომიაშვილის** — „ამხანაგმა მთამ აიღო სიტყვა" ილიუსტრაციაა იმის, რომ დასახელებული ავტორები უკვე ყალიბდებიან თავისებურ პოეტურ ერთეულებად. უკვე ახერხებენ ყოველდღიურობის კონკრეტულ მასალებზე ახალი ადამიანის ფორმაციისა და ახალი საზოგადოებრივი წყობის გამომხატველ პოეტურ ტილოების გაშლას. ბუნდოვანება და აბსტრაქცია ხელოვნურობა და ნაძალადევი პათოსი, თუ მშრალი რიტორიკა უკვე იდევნება ამ ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებიდან და იცვლება პოეტური მეტყველების რეალისტური საშუალებებით. ახალგაზრდა პროლეტარული პოეზიის ზრდის ფაქტებს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე **ვ. შატბერაშვილის"** „ღამე ყაზბეგში".

კ. ბობოხიძე უკანასკნელად განისაზღვრა სამხედრო თავდაცვითი თემატიკით, მის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი ნაკლებად მუშაობს ლექსის ხარისხზე.

გასულ წელს **„მნათობში"** იბეჭდებოდა საბჭოთა პოეტური კულტურის ერთი მნიშვნელოვანი ძალთაგანი **გალაქტიონ ტაბიძე.** ჟურნალის დასახელებულ ნომრებში გამოქვეყნებული ლექსები („ეროვნებათა მარში" და სხვა) შესრულებულია პოეტისათვის ჩვეულებრივი გულწრფელობით და ექსპრესიით.

მეტად საინტერესო და საყურადღებო პოეტური ფაქტებით მონაწილეობდა ჟურნალის დასახელებულ ნომრებში **სიმონ ჩიქოვანი.** მისი ლექსი „გმირის ძიებაში" საყურადღებოა მოტივების ორიგინალობით. აქ ხუთწლედის გმირს პოეტი იძლევა შემოქმედებითი დინამიკაში. იგი რევოლიუციური რომანტიზმის პრაქტიკული გამოყენების საყურადღებო ცდას წარმოადგენს. ს. ჩიქოვანის მეორე ლექსი „გადასვლა გორგაზზე" აგრეთვე საუკეთესო ნამუშევარია მის მთის თემატიკაზე აგებულ ლექსების ციკლიდან.

ჟურნალ **„მნათობი"**-ს სარეცენზიო ნომრებში მოცემული პოეტური მასალების გარჩევის დროს აუცილებელია ხაზი გაესვას ერთს, მკაფიოდ გამოხატულ ტენდენციას: პოეტების მთელი რიგი 23 აპრილის ისტორიულ დადგენილებიდან აკეთებს დასკვნას, თითქოს ეს დადგენილება გულისხმობდეს ლიტერატურაში იდეურობისა და შინაარსობრივი აქტუალობის მოთხოვნის მოხსნას. ამიტომ ისინი უბრუნდებიან „თვითმიზნობრივი", „უსაგნო" ლირიკის ტრადიციებს. ასეთი განწყობილებებით ხასიათდება განსაკუთრებით ცისფერყანწელთა გასული წლის პოეტური პროდუქცია. **პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, გოგლა ლეონიძის, და ვ. გაფრინდაშვილის** მთელი რიგი პოეტური ფაქტები.

ის გარემოება, რომ ჩვენ შევებრძოლეთ საბჭოთა ლიტერატურაში ჟანრობრივ ზღუდეებს და კერძოთ ლირიკის საკითხში კატეგორიულად უარვყავით წინა წლებში გავრცელებული შემცდარი შეხედულება, რომ თითქოს ლირიკა შეუთავსებელი იყოს პროლეტარიატის კლასობრივ პოეზიასთან, ცხადია არ გულისხმობს „უიდეო და ნეიტრალური" ლირიკის წახალისებას. საბჭოთა პოეზიამ ჩვენ მთელი რიგი საუკეთესო ფაქტები მოგვცა, სადაც ლირიკა გამოყენებულია მუშათა კლასის მებრძოლი ენთუზიაზმის, მისი მაღალი იდეების და ამ იდეათა განხორციელებისაკენ მიმართული მშენებლობითი პროცესების გამოსახატავად. ყოველგვარი ნეიტრალობის და იდეურ უსაგნობის ცდას პოეტი მიჰყავს უკან, მარჯვნივ, პროლეტარიატისათვის უცხო და საწინააღმდეგო ბანაკისაკენ. ამის აღნიშვნა აუცილებელია, რათა დასახელებულმა პოეტებმა გადასინჯონ შემცდარი შეხედულება საბჭოთა ლირიკის საკითხში და შემოქმედებით პრაქტიკაში გვიჩვენონ უნარი თანამედროვე ეპოქისათვის საჭირო და სასარგებლო პოეტური კულტურისათვის ბრძოლის.

ნათქვამი არ შეეხება დასახელებულ პოეტების მიერ გამოქვეყნებულ ყველა ნაწარმოებს. მათ მოგვცეს რამოდენიმე გამონაკლისის სახით თემატიურად შედარებით აქტუალური პოეტური ფაქტებიც. **ნიკოლო მიწიშვილმა** გასულ წელს გამოაქვეყნა ერთად-ერთი ლექსი „ოქტაველი". იგი შესრულებულია მიწიშვილისათვის ჩვეული ოსტატობით და მონდომებით, მაგრამ აქაც ავტორი თავისი პირადი განწყობილების ორმაგობის რკალში მომწყვდეული ტრაგედიას იძლევა, აქაც კიდევ ერთხელ მეორდება მიწიშვილისაგან მის ყველა ნაწარმოებში დასმული პრობლემა პოეტის დამოკიდებულებისა ეპოქასთან, რომელიც ისევ გადაუწყვეტელი და პასუხგაუცემელი რჩება.

„მნათობის" ნომრებში იბეჭდებოდა აგრეთვე **ვ. ჟურულის** ლექსები, რომელთაც უდავოთ ემჩნევათ მახვილი პოეტური კულტურა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოკლებული არიან კონკრეტულობას და სიღრმეს.

ჟურნალში სისტემატიურად თანამშრომლობენ პოეტები: **გ. ქუჩიშვილი, გრ. ცეცხლაძე, ვ. რუხაძე.**

ჟურნალის დასახელებულმა ნომრებმა ქართულ საბჭოთა პროზას შემატეს მთელი რიგი ისეთი ნაწარმოებებისა, რომელთაც ახალ ეტაპზე აყავთ ქართული ბელეტრისტიკის განვითარება. ჟურნალში იბეჭდებოდა **კ. ლორთქიფანიძის**—„ძირს სიმინდის რესპუბლიკა", **პანტელეიმონ ჩხიკვაძის** — „ნაბიჯების" პირველი წიგნი, **მიხ. ჯავახიშვილის**—„არსენა მარაბდელი", **კ. გამსახურდიას** — „გოეთეს ცხოვრების რომანი", **დ. სულიაშვილის**—„კედელი", **სერგო კლდიაშვილის** — „სვანური მოთხრობები", **ა. ქუთათელის** „გათიადის წინ", **რ. ქორქიას**—„გრიგალი" და სხვ. მთელი ეს მასალა თემატიურად ორი ძირითადი ხაზით განისაზღვრება: სოციალისტური მშენებლობის დღევანდელობა, და ისტორიულ წარსულის მხატვრული გამოხატულება.

ქართული მხატვრული პროზა უკვე ვითარდება სოციალისტური რეალიზმის გზით. დასახელებულ ნაწარმოებთა გარჩევა შეფასება შეუძლებელია ამ საბიბლიოგრაფიო მიმოხილვის ფარგლებში. ვიტყვი მხოლოდ, რომ **კ. ლორთქიფანიძის** „ძირს სიმინდის რესპუბლიკა" თანამედროვე ქართულ პროზაში ერთ-ერთი ფართო მხატვრული ტილოა ჩვენი სოფლის სოციალისტურ რეკონსტრუქციის მასალებზე გაშლილი, რომელიც საყურადღებო ნაწარმოებია არა მარტო თავისი თემატიური აქტუალობით, არამედ ტიპაჟის შესრულებისა, სიტყვიერი მასალის ორგანიზაციისა და საერთოდ ოსტატობის თვალსაზრისითაც. თუ კომპოზიციისა და სიუჟეტის აგებულობის მხრივ ამ ნაწარმოებს აკლია სტრუქტურული სიმტკიცე, სამაგიეროთ ცალკე ეპიზოდები მოცემულია ძლიერი ბელეტრისტული შესრულებით.

პანტელეიმონ ჩხიკვაძის — „ნაბიჯები" საკმაოდ სერიოზული ნამუშევარია, მასში ძლიერ ხაზებშია მოცემული საქართველოს რევოლიუციური წარსული.

ფართო ისტორიული ტილო გაშალა აგრეთვე **მიხ. ჯავახიშვილმა** უფრო შორეული წარსულის, მე-19 საუკუნის მნიშვნელოვან სოციალურ მოვლენათა მასალებზე. ამ ნაწარმოებით ავტორი გვაძლევს პირველ ცდას გამიჯნოს ანტიპარტიულ მსოფლმხედველობითი პოზიციებს და მოვლენების გაგება გამოხატვაში გვიჩვენოს პროლეტარიატის მსოფლმხედველობასთან დაახლოვება. როგორც ერთ-ერთი დიდი ისტორიული რომანთაგანი ქართულ ბელეტრისტიკაში, ისე ზემოდასახელებული ნაწარმოებები შეიცავენ მთელ რიგ სუსტ მხარეებს, ცალკე ჩავარდნის მომენტებს, რომელთა შესახებ დასაბუთებული მითითება ჩვენი კრიტიკული მუშაობის ამოცანას წარმოადგენს.

სერგო კლდიაშვილი — „სვანური მოთხრობები" ოსტატობის მხრივ ავტორის შემოქმედებითი განვითარებაში, მაღალ საფეხურს წარმოადგენს. **კ. გამსახურდიას** — „გოეთეს ცხოვრების რომანი" ბიოგრაფიული პროზის ნიმუშია და უნდა გარკვევით ითქვას, რომ გამსახურდიას შემოქმედებითი ევოლიუციაში ეს ნაწარმოები არაფერს ამბობს ახალს: არც მსოფლმხედველობისა და არც მხატვრული ძიებების თვალსაზრისით.

ლევან მეტრეველის მოთხრობა — „ვაჟკაცურად" აგებულია საინტერესო სიუჟეტური განვითარებით. მაგრამ ავტორის განზრახვას ვერ შეეფარდება მოთხრობის მხატვრული შესაძლებლობანი ავტორს აუღია კულაკისა და გვარდიელის შვილის კომუნისტად გადამუშავების მიუღებელი, შემცდარი კონცეპცია.

ჟურნალში სუსტადაა წარმოდგენილი ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურული კრიტიკის განყოფილება. ეს აიხსნება იმ სიძნელეებით, რომლის წინაშეც დადგა საერთოდ საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა 23 აპრილის დადგენილებით ნაკარნახევი გარდატეხის მოთხოვნათა პირობებში. ჟურნალის დასახელებულ ნომრებში მაინც იბეჭდებოდა ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის თითქმის ყველა მომუშავეთა წერილები, როგორც ზოგად თეორიული და სამიმოხილვო - მეთოდოლოგიური ხასიათისა, აგრეთვე უმთავრესად კონკრეტული კრიტიკის ხაზით. ჟურნალში თანამშრომლობდენ: **შ. რადიანი, ალ. არსენიშვილი, გ. ნატროშვილი, დ. ბენაშვილი, ლ. ასათიანი, აკ. გაწერელია, ალ. ხულავა, ალხაზიშვილი** და სხვ.

გარდა ლიტერატურისა ჟურნალში შუქდებოდა ხელოვნების მოსაზღვრე დარგთა საკითხებიც. ახალი ეტაპის შესახებ, ქართული კინემატოგრაფიის მიღწევათა შესახებ. და სხ.

ჟურნალში თავსდებოდა საბიბლიოგრაფიო განყოფილება, რომელშიაც შეფასება მიეცა ჩვენი მწერლობის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ნაწარმოებს. ჟურნალში მოთავსებული თეორიულ - კრიტიკული ხასიათის მასალები ძირითადათ სწორად აშუქებენ აღებულ პრობლემებს თუ შესაფასებელ ლიტერატურულ ფაქტებს, მაგრამ ზოგიერთი წერილები დაზღვეული არ არიან ცალკე შემცდარი აზრებისა და ფორმულირებებისაგან. აღსანიშნავია მაგ. გ. წერეთლის შესახებ ამხ. **ლ. ასათიანის** წერილი, რომელშიაც არის ცალკე შემცდარი მოსაზრებები და უხერხული ფორმულირებები.

ჟურნალს აქვს მეტად საინტერესო განყოფილება „ადამიანები და ფაქტები" ამ განყოფილების მასალებში განსაკუთრებით აღსანიშნავია **სერგო კლდიაშვილის** „დავით კლდიაშვილი", **ბარონ ბიბინეიშვილის** „კამო", **ელია ჭყონიას**—„ჩემი დღე და სოფელი", **ს. ხუნდაძის** მიერ დამუშავებული სერგ. მესხის და ნინოშვილის კერძო წერილები. ამავე განყოფილებაში შედის მხატვრული ნარკვევები, რომელთა შორის განსაკუთრებული კვალიფიკაციით ხასიათდება **აკაკი ბელიაშვილის** „არშენდას დასასრული". აღსანიშნავია აგრეთვე **დ. შენგელაიას** „რამდენიმე დღეს ბრძოლის ველზე" და **ტიციან ტაბიძის** „ტყვარჩელი".

ჟურნალში იბეჭდებოდა მთელი რიგი სამეცნიერო წერილები, შუქდებოდა ხალხური შემოქმედების საკითხები, დამახასიათებელი ნიმუშების დაბეჭდვით, თავსდებოდა მეტად საინტერესო მასალები ლიტერატურული არქივებიდან. ჟურნალს აქვს აგრეთვე მდიდარი და საინტერესოდ შერჩეული კულტურის მატიანე, რომელიც შეიცავს საქართველოს საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკების და უცხოეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის ვრცელ ქრონიკას.

გასული წლის განმავლობაში შინაარსობრივი გაუმჯობესებისა და სიმდიდრის პარალელურად ჟურნალმა დიდათ გააუმჯობესა გამოცემის ტექნიკა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივაც ჟურნალი „მნათობი" საბჭოთა კავშირის მთელ მხატვრულ პრესაში ერთ-ერთ საუკეთესო გამოცემად უნდა ჩაითვალოს. საგრძნობ ნაკლოვანებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ჟურნალის ნომრები გამოდიოდა დიდის დაგვიანებით, რაც გამოწვეული იყო უმთავრესად პოლიგრაფიული ბაზის მოუგვარებლობით. ამითი აიხსნება, რომ ჟურნალის თორმეტი ნომერი ექვს წიგნად გამოვიდა, რითაც **„მნათობმა"** ფაქტიურად დაკარგა ყოველთვიური ჟურნალის ხასიათი. ამ დაბრკოლების გადალახვა აუცილებელი პირობაა, მომავალში ჟურნალის ნორმალური მუშაობისათვის.

ბეს. ჟღენტი.

სტამბა „კომუნისტი". კაშის ქუჩა 1 68

კოტე მარჯანიშვილი

ყოველგვარ იზმების და მათ შორის, უმდაბლეს ნატურალიზმის ეპიგონები, რომლებიც უშნოდ და ულაზათოდ ბაძავდნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის დიდს სპექტაკლებს და ქართულ თეატრს მწვალებელი სიჯიუტით უკარგავდენ თავის სახეს, ჩვენი მაყურებლის მოთმინების და ყურადღების სასტიკ ექსპლოატაციას ეწეოდენ. შემდეგ იყო ცარიელი დარბაზები და საშინელი სუსხი სცენაზე.

საჭირო იყო დიდი ხელოვანი, დიდი ოსტატი, დიდი შემომქმედი, რწმენა ამ შემოქმედებისადმი და ახალი ჩანასახები ჩვენს სათეატრო კულტურაში.

„ფუენტე ოვე სურათი" ფარდა აიხადა და სცენიდან ჯანსაღმა სიომ დაჰკრა, შეხუთული, დანესტიანებული ჰაერი გაჰქრა, ხალხი შადრევნად დადგა, უცხო ფერებმა თვალები დასჭრეს, სპექტაკლი ზეიმად იქცა და დარბაზმა იდღესასწაულა.

დღესასწაულის რეჟისორი იყო კოტე.

ძველი თეატრი ხერხემალში გადატყდა და დაიწყო ახალი თეატრის ბრწყინვალე ეპოქა.

ქართული თეატრი ახალი სახის ძიების ახალი სტილის შემუშავების გზაზე დადგა. უფრო თამამად და გარკვევით მოიხაზა კონტურები სინთეტიური თეატრისა სადაც სიტყვა, მუსიკა, პლასტიკა და მოქმედება ერთმანეთს ავსებენ. და ქმნიან მთლიან ესთეტიურ შთაბეჭდილებას.

სინთეტიური თეატრის ფიზიონერი იყო კოტე.

ქართული თეატრიდან იდევნებოდა სანტიმენტალობა, ფსიხოლოგიური ჩხრკედელაობა, ფარისევლური მოთქმა და წუწუნი. დამკვიდრდა თეატრალური ღიმილი, ცხოვრების მიმღეობა, „თვალის ხეირი", პრინციპი იმპოვიზაციის, ინტერესების, სცენიურ მოულოდნელობის, შემოქმედებითი სიხარული.

ამ სიხარულის კონსკვიდატორი იყო კოტე.

ქართულს თეატრში სცენა გაცოცხლდა, ნივთი გასულიერდა, აქტიორმა ფეხი აიდგა, თეატრალური გარემო შემოქმედებითი ცეცხლში გაეხვია.

ცეცხლი იყო კოტე.

ქართულს თეატრში რეჟისორის გამომგონებლობა, მახვილობა, დამაჯერებლობა, დამძაფრება, მხიარული ირონია, მრავალფეროვანი შემოქმედებითი ფანტაზია მტკიცედ დამკვიდრდა.

ამ რეჟისორული ფანტაზიის მხილებული იყო კოტე.

საბჭოთა საზოგადოება, ათი ათასი მუშა და მოსამსახურე, მრავალრიცხოვანი მასები მონაწილენი გახდენ გრანდიოზული დადგმისა, სახალხო მასიურ დღესასწაულისა რომელიც თეატრის ვიწრო კედლებიდან ქუჩაში იქნა გამოტანილი.

ამ სახალხო მომავალი დიდი სტილის დღესასწაულის გამფორმებელი იყო კოტე.

გაუხსნელი, არა სავსებით აღმოჩენილი განძი იყო ჩვენთვის კოტე.

დაუდგრომელი ერთფეროვნებასთან შეურიგებელი, კომპრომისების სასტიკ მოძულე, მუდამ სიახლის მძებნელი, უხილავ, აღმოუჩენელ შემოქმედებითი გზების ძიებაში დამწვარი—ასეთი იყო კოტე

კოტემ შექმნა დაუვიწყარი სპექტაკლები, ქართული თეატრი გაიყვანა ვიწრო, პროვინციალური ჩარჩოებიდან და იგი საკავშირო რადიუსით წაიყვანა.

„ურიელ აკოსტა", სადაც ასე ძალუმად მჟღავნდება კოტეს გამძაფრებული თეატრალური კულტურა, „ჰამლეტ",—სადაც უმთავრესი გმირი, რეჟისურის პრინცი — თვით კოტეა, „ინტერესთა თამაში", სადაც კოტეს ხალისიანი, ნებიერი ფანტასტიკა, საოცრებაში გადადის და... კალამს წვერი დაუცვდება ამ საზეიმო სპექტაკლების ჩამოყალიბებაში.

თანახმიერი იყო კოტე ჩვენი ეპოქის. დიდი ენტუზიასტი, აღფრთოვანებული რევოლიუციონერი თეატ. შემოქმედებაში, ახალი ფორმების შემქნ. ასეთი—ხელოვანი ოსტატი, რეჟისორი, ესაჭიროება ჩვენს გმირულ, ენტუზიაზმით სავსე ეპოქას.

გამახვილებულად გრძნობდა ახალი ცხოვრების მაჯისცემას და შემოქმედებითი ტანჯვით, მაგრამ დაჯერებით, ებრძოდა ესთეტიურ თვითმიზნობას, რომელიც ბუნებრივია, დარჩენილი იყო მასში, როგორც ძველი შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის ერთ ერთს ბრწყინვალე წარმომადგენელში.

მთელის არსებით, გულწრფელობით მივიდა კოტე საბჭოთა თეატრთან.

დიდი იყო კოტე არა მარტო როგორც რეჟისორი—ოსტატი, ჯადოქარი — ხელოვანი.

დიდი იყო კოტე აგრეთვე როგორც აღმზრდელი ახალი თაობათა, ახალი ძალების, ცალკე ინდივიდუალობათა გამხსნელი, ახალგაზრდათა ინიციატივის წინწამწევი, ახალი დრამატურგიის წამქეზებელი.

ვერ დააფესებს აღელვებული კალამი კოტეს; მას ეპიური, დამშვიდებული კალამი უნდა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი: კოტეში იყო ისეთი რამ, რაც შეიძლება ყველაფერს ფარავდა. და ამიტომ იყო კოტე ყველასთვის საყვარელი. ის არ იყო ოსტატი მარტო ვიწროდ გაგებულ თეატრისა, ის იყო დიდი არტისტი, დიდი შემომქმედი, რამპის გარეშე კოტე იყო დიდი პოეტური პიროვნება, პოეზიის, რეჟისორი ინტიმის, რომელიც იწოდა ყველგან, იქნებოდა ეს სცენა, საუბარი მაგიდასთან—თეატრსა, პოეზიასა, მხატვრობასა თუ ახალგაზრდობასთან როცა ასე გატაცებით ამეტყველდებოდა გაიშლებოდა მისი შთაგონება და პატარა ნაპერწკალიც კი მის თვალებში ჩაუქრობელ ცეცხლს გააჩაღებდა.

დაუვიწყარი დარჩებიან საღამოები კოტესთან ახლოს გატარებულნი.

სცენის განუმეორებელ რეჟისორულ მთელს ბრწყინვალებას გამოამჟღავნებდა კიდევ კოტე—რომ არ დაფერფლილიყო.

უკანასკნელად მოიხმა არწივის ფრთებს შრიალი და ცეცხლმა დასწვა კოტე.

დასწვა გული, რომელიც ხელოვნების ღრმა სიყვარულით ფეთქდა, დასწვა სითხე, რომელსაც ტვინს უწოდებენ, აღგზნებული დიდი ფანტაზიის და შემოქმედებითი გრიალის ხილვით, დასწვა კოტე ახალ ფორმებისათვის ბრძოლის სადარაჯოზე.

შალვა აფხაიძე

დიდი ხელოვანი

ტფილისი. საქსახკომსაბჭო. 1922 წლის ზაფხული.

საქმეთა მმართველის ოთახი. შემოვიდა ჯანმორჩილი კაცი საზაფხულო ტანსაცმელში.

საქმეთა მმართველი და იქ მყოფი ხალხი პატივისცემით მიეგება. სკამი მიართვეს.

— დაბძანდით.

საქმეთა მმართველმა მომმართა:

— არ იცნობთ.

— არა.

— მარჯანიშვილი... ჭიაურელი...

მე უფრო ტანადი მეგონა—მინახავს კარიკატურები დიდი ულვაშებით და წვერებით. ეს ადამიანი კი პატარა, ჭაღარა შერთული—მუდამ მომცინარე, მოძრავი.

მოკლე თითებიან ხელში ჯოხს ატრიალებს.

— თქვენ მსახიობი ხართ და საზღვარგარეთ აპირებთ გამგზავრებას... რატომ მიხვალთ? აქ უფრო საინტერესოა მუშაობა. იქ ვერაფერს ახალს ვერ ნახავთ.

პასუხის მიცემას ვერ ვბედავ. არ ვიცი რა ვუპასუხო. ვცდილობ გავამართლო ჩემი განზრახვა.

— ვეუბნები:

—ვფიქრობ, რომ თეატრი ისპობა. ჩვენ ხანას ესაჭიროება ახალი, სულ სხვა სახის ხელოვნება.

თეატრის უდიდესმა ოსტატმა დაბეჯითებით გადაჭრა:

— ვიდრე ადამიანის ფსიხიკაში არსებობს განცდების და ემოციების **განმეორების სურვილი**, თეატრი არ მოისპობა.

⁂

1924 წელში საზღვარგარეთიდან დავბრუნდი. მსახიობ ვ. ანჯაფარიძესთან ერთად თეატრში მივდივარ. პრემიერაა—„კაცი მასსა" გერმანელ ექსპრესიონისტ ერნსტ ტოლლერის.

პირველი მოქმედება დამთავრდა. შთაბეჭდილებები მრავალი და ძლიერია. ორი წლის განმავლობაში უნახავი ხალხი ვერ ვიცანი.

ნუ თუ ეს ხორავაა სახალხო სახლის სცენის მოყვარე? ეს ვასაძე? უშანგი ჩხეიძე.

საოცარი ცვლილება — ყოველ მოძრაობაში ვხედავ დიდ დახელოვნებას და ოსტატობას.

მარჯანიშვილი მართალი იყო. ასეთი თეატრი საზღვარგარედ არ არსებობდა (რუტინა, ხელოვნება კი არა—ხელოსნობა).

ვიცნებობ ვიმუშაო მასთან.

საერთო ენის პოვნა ძნელი გამოდგა: განსაკუთრებული თავისებურება და ძიების უჩვეულო გზები.

არავისთან მიდის. გვერდში ვერ ამოუდგები. თუ შეეგუე, მოგიქცევს თავის მუშაობის სისტემაში.

⁂

1928 წელი. გაზაფხულია. მხატვარი დ. კაკაბაძის გამოფენა (კონსტრუქტივიზმი). საზოგადოება აღმაცერად უყურებს ტილოებზე კომპოზიციას, მათი მასალა (რეალური საგნები სურათში) უჩვეულო, მიუღებელია მისთვის.

მხატვარი შემოტევებს მარტოდ მარტო იგერიებს—საცაა დაამარცხებენ. შემოდის კ. მარჯანიშვილი ქალების თანხლებით. თავმოღუნული ჯოხი მხარზე უდევს. თან მოაქვს სიცილი, სიხარული.

დიდის ყურადღებით დაათვალიერა გამოფენა.

აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი მხატვრები ელიან—რას იტყვის.

მარჯანიშვილი მიდის დ. კაკაბაძესთან. ულოცავს ბრწყინვალე გამარჯვებას. სთხოვა მხატვარს მუშაობა თეატრში.

1929 წელში ქ. ქუთაისში დაიდგა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ" დ. კაკაბაძის კონსტრუქციით. სპექტაკლმა **გაიმარჯვა**.

კოტე მარჯანიშვილს 300 დადგმაზე მეტი აქვს. მათ შორის მრავალი შედევრია. ამაზე ბევრი თქმულა, დაწერილა და კიდევ ბევრი დაიწერება.

მე ვიცი, რომ ზოგჯერ მხატვარის გამარჯვება უნდა მონახო დამარცხებაშიც.

მე მახსოვს ასეთი დამარცხება.

ქუთაისში კ. მარჯანიშვილმა დადგა ა. ქუთათელის პიესა „შუაღამემ გადაიარა".

ეს არ იყო სავსებით ჩამოყალიბებული სპექტაკლი.

რამ აიძულა მარჯანიშვილი ეს პიესა დაედგა. პიესაში არის ორი მომენტი, რამაც აამოძრავა მხატვარი ედიშერის ცრემლები და მიცვალებული (ავაზაკი) მონასტერში.

ორივე მომენტი ისეთი გიპერბოლით იყო მოცემული, რომ აღწევდა საფრანგეთის დიად გენიოს რაბლეს ხელოვნებამდე... მაგალითად ედიშერის ატირება იწყება პატარა ცრემლებით, შემდეგ გადაიქცევა ნაკადათ... მარჯანიშვილს არ ჰყოფნის სცენის ჩარჩოები, იყენებს კინოს, ნაკადი გადადის ჩანჩქერში, ჩანჩქერი იქცევა მქუხარე მდინარეთ, რომელიც გადაიქცევა მოელვარე ზღვად და ედიშერი შიგ იხრჩობა.

⁂

მე დავდგი ყოფ. წითელ თეატრში ა. ცაგარელის კომედია—„რაც გინახავს ველარ ნახავ". თეატრი სავსე იყო მაყურებლებით. მათ შორის ყველაზე ძვირფასი და ამავე დროს საშიში მაყურებელი იყო კ. მარჯანიშვილი.

სპექტაკლის შემდგ მე დავემალე მას, მაგრამ მომნახა და მომილოცა გამარჯვება (თუმც არ მჯეროდა, რომ დავიმსახურე ეს ასეთი ოსტატისაგან).

მან მითხრა:

— სცენა და მაყურებელი—ორი მოსისხლე მტერია, მაყურებელი მოდის თეატრში განზრახვით (რომელსაც თვითონ ვერ ამჩნევს) დაგამარცხოს. სპექტაკლი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა. საჭიროა წარმოდგენის დაწყებისთანავე მაყურებელი დაიპყრო ხელოვნებით ისე, რომ ის დიდ ხანს გონზე ვერ მოვიდეს. თვალყური უნდა ადევნო, რომ მაყურებელი წარმოდგენის მსვლელობის დროს არ მომაგრდეს და არ მოგერიოს. თქვენ ეს შესძელით და ეს თავდებია იმისი, რომ თქვენ რეჟისორი ხართ.

⁂

უკანასკნელი შეხვედრა 1933 წელს. აპრილი. სახკინმრეწვის სასცენარო განყოფილებაში.

მარჯანიშვილმა მოიტანა თემა—„თორმეტი სკამი"—ილფის და პეტროვის რომანის მიხედვით.

მთხოვა—მეცნობებია ჩემი ხმოვან კინო გადაღებათა შესახებ.

კინო-გადაღებას ვერ დაესწრო. ოსტატმა სამუდამოდ დაგვტოვა.

დიდ ნაკლად მიმაჩნია, როგორც ხელოვნების მუშაკს რომ არ მომეცა ბედნიერება კოტე მარჯანიშვილთან მუშაობის.

მ. ჭიაურელი.



ნახატი—თ. აბაკელიასი.

ების კავშირი

ეკამდე

პედიებისათვის ყოველ მხრივ დამუშ

ლი მასალის მიწოდება. ამ საქმის მ

რიგებლად პრეზიდიუმმა გამოყო კ

, რომელშიდაც შედიან ამხ. დ. დე

ი, ბ. ჟღენტი და ს. ხუნდაძე;

მწერლობა და ყოველდღიუ

გაზეთები

ფილისის ყოველდღიურ გაზეთებში

ადგილი ეთმობა ინფორმაციას ლ

ურიული მოძრაობის საკითხებზე

ბუნტარი და რეფორმატორი

ქ. მარჯანიშვილი გარდაიცვალა იმ დროს, როდესაც იგი მოსკოვში—მცირე თეატრში სდგავდა „დონ-კარლოს", დიდი თეატრი მოლაპარაკეობას აწარმოებდა „აბესალომ და ეთერის" დასადგმელად, ოპერეტის თეატრში ამზადებდა „ამურას", ტფილისის ოპერაში—ვერდის „ოტელოს", მომავალ სეზონისათვის ფიქრობდა „რომეო და ჯულიეტაზე" და ჰაუპტმანის „მზის ჩასვლაზე".

იგივე ახალგაზრდული იმედები, ახალი შემოქმედებითი ფიქრები და გეგმები.

ცოცხლდებიან ტაიროვის სიტყვები:

კ. მარჯანიშვილი თავის თეატრში იწვევდა: მონახოვს, შალიაპინს, დავიდოვს, კოონენს, დუზეს, სარრა ბერნარს, სალვინის, მაქს რეინჰარტს, გეორგ ფუქსს, გორდონ კრეგს.

სდგავდა: დრამას, კომედიას, ოპერეტას, პანტომიმას.

მოსკოვში მუშაობდა „მშვენიერ ელენეზე", პიტერში მოლაპარაკებას აწარმოებდა ვარლამოვთან, ფლორენციაში—კრეგთან, პრაღაში—ადგენდა ორკესტრს, ლონდონში ფიქრობდა გასტროლების მოწყობას „სოროჩინცაში" ყიდულობდა ხარებს „ბაზრობისათვის" და ასე დაუსრულებელი გრანდიოზული გეგმები და კიდევ გეგმები.

კ. მარჯანიშვილის მჩქეფარე სიცოცხლე, ადრე რომ არ შეწყვეტილიყო, მას მაინც სიბერე არ ეწვია. იგი მაინც ახალგაზრდული სულით მოკვდებოდა.

კ. მარჯანიშვილის ცხოვრება და შემოქმედება აღსავსე იყო კონტრასტებით, წინააღმდეგობებით გამარჯვებებით, ჩავარდნებით და უფსკრულებით. ამიტომ გასაკვირველი არ არის, როდესაც თეატრის დიდი ანარქისტი კოტე მარჯანიშვილი შეხვდა კ. სტანისლავსკის და მათი პირველივე შეხვედრა „დუელით" გათავდა. და განა მარტო სტანისლავსკისთან ჰქონდა მარჯანიშვილს ასეთი ფინალი? სადაც კი კ. მარჯანიშვილი გაჩნდებოდა ან იწვევდ ვისმეს დუელში ან მას იწვევდნენ, ან მარჯანიშვილი აფეთქებდა, ან მას აფეთქებდენ.

კ. მარჯანიშვილი მუდამ ბუნტარი იყო თეატრში. იგი უამისოდ ვერა სძლებდა. საქმის ყალყზე შეყენება, ეს მისი ორგანიული მოთხოვნილება იყო. ამასთანავე სასცენო ხელოვნების შემოქმედებით გაუმაძღარი, ჰეგემონი, თეატრალური ტერორისტი, რომელიც სულ იმის ცდაში იყო რომ ჰერკულესის ნაბიჯებით ევლო და ყველასათვის გადაებიჯა. ბევრ შემთხვევაში ის ამას აღწევდა.

აქაც მე მახსენდება კრიტიცკის სიტყვები:

კ. მარჯანიშვილი—თეატრალური რევოლიუციის პარტიზანი.

მაგონდება კიდევ მოჩალოვი, რომლის შესახებ შახავსკი ამბობდა: „მოჩალოვი გენიოსია ინსტიქტით. თუ გუნებაზეა—სასწაულს ქმნის. თუ არ არის გუნებაზე—ვაი შენს მტერს!" იგივე ითქმის კ. მარჯანიშვილზე. მან იცოდა გენიალური ფანტაზიით, ინსტიქტით, მხატვრული ინტუიციით პიესის ისე „გაკეთება", რომ გადაგრევდათ, მაგრამ მანვე იცოდა პიესის ისეთი „გადაბრუნებაც", რომ თავბედს გაწყევლინებდათ.

ამის მშვენიერი მაგალითია:—მისი „ჰამლეტი".

პირველი ორი სურათი:—ღირსეული გამოხატულება შექსპირის მონუმენტალური სტილის! მაღალი კიბეები, რომლებზედაც, მოქმედების ზრდის დროს, დიდებული მხატვარი მაღლა კი არ ადიოდა, ძირს ეშვებოდა. ასეთი შემთხვევები კ. მარჯანიშვილის შემოქმედებაში ხშირი იყო. ეს იყო მისი ტრაგედია და ამ ტრაგედიას, შემოქმედებითი ალში, გახვეული ხელოვანი ვერ ხედავდა.

კ. მარჯანიშვილი სინთეტიური ხელოვნების მაძიებელი იყო თეატრში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იგი აქტიორთას ერთად თანაბარ სიმაღლეზე აყენებდა თეატრის სხვა დარგებს. თავის დადგმებში „მშვენიერ სოლნესში", სინათლის ფერების გადმოცემაში თავის ოსტატობით მან რემბრანტის სინათლის ფერებამდე მიაღწია, ბევრ დადგმებში თავისი დეკორატიული აღნაგობის პრინციპებით, პერუჯინოს მხატვრულ სტილის ხელოვნებამდე ავიდა სცენიურ არქიტექტორულ მშენებლობით. კ. მარჯანიშვილი მატარებელი იყო სელიაროს და ანდრეა დელ-სარტეს იდეების, მაგრამ ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც იგი თავის იშვიათ მხატვრულ გემოვნებას თვითვე არღვევდა. შეფერებელი კომპოზიციებით. ეს იყო მისი ნაკლი.

ოქტომბრის რევოლიუციამ კ. მარჯანიშვილს მის შემოქმედების უკანასკნელ პერიოდს მოუსწრო. ეს პერიოდი კ. მარჯანიშვილის შემოქმედებაში იყო მწვერვალი. კოტე მარჯანიშვილი ენტუზიაზმით შეხვდა დიდებულ რევოლიუციას.

დაუვიწყარია მისი დადგმა „ცხვრის წყარო".

ყველაზე დიდი მუშაობა კოტე მარჯანიშვილმა ჩაატარა საბჭოთა საქართველოში. ქართულ თეატრის ისტორიაში, 1922 წლის თარიღით კ. მარჯანიშვილი შევა როგორც რეფორმატორი ქართული სცენის. კოტე მარჯანიშვილის სახელი მჭიდროდ დაკავშირებულია ახალი ქართული საბჭოთა თეატრის სახელთან. მის შესახებ ქართული თეატრის მემატიანე ბევრ რამეს იტყვის.

კ. მარჯანიშვილი მთელი თავისი მოღვაწეობის ხანგრძლივ მანძილზე სულ იწვოდა და სწვავდა

ასე იყო მუდამ. მაგრამ დღეს მარჯანიშვილის შემოქმედების წვის პროცესი საბოლოოდ დასრულდა. ქართული თეატრი მოწიწებით მიიღებს მის ძვირფას ფერფლს.

ვახტანგ გარრიკი

საბჭოთა ლიტერატურის ერთი რაზმის შესახებ

(28 აპრილის დადგენილება და ქუთაისის ლიტორგანიზაცია)

საბჭოთა მწერალი

„ტფილისი არ სწერს ჩვენს შესახებ"-ო—ამბობს ამხ. **დია ჩიანელი** მეტად საინტერესო თვითკრიტიკულ თათბირზე ქუთათურ სალიტ. გაზეთის მუშაობის შესახებ. ეს შენიშვნა აუცილებლად უნდა მივიღოთ და დეფექტები აქ ხაზით დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ.

რაც არ უნდა მთლიანი იყოს საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ძირითადი და უმთავრესი ხაზები, მათი გარდატეხა სხვადასხვა შემოქმედებით განშტოებებში, შემოქმედებით ჯგუფებსა და ინდივიდუალურ შეძენებაშიაც კი იმდენ მრავალსახეობის სურათს იძლევა, რომ მთლიანობის და ერთობლიობის მოსანახად ყოველთვის დაგვჭირდება ანალიტიური გათხრის აწ სამუშაოს შესრულება, რომელსაც კონკრეტული კრიტიკა ეწოდება.

ქუთაისს, როგორც მისი განვითარების თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ, ისე საბჭოთა პერიოდში ახასიათებდა და ახასიათებს მეტად ინტენსიური ლიტერატურულ-იდეური ცხოვრება, რასაც წინა პერიოდში საფუძვლად ედო დასავლეთ საქართველოს ამ კუთხის ყვალიფიციურ ინტელექტუალურ ძალთა სიმრავლე, რაც ბოლოს და ბოლოს გამოწვეული იყო გაცხოველებული აღებმიცემობით და სოფლის მეურნეობის ტიპების სხვადასხვაობით. სოციალისტურ რეკონსტრუქტიულმა პერიოდმა მოუტანა ქუთაისს ინდუსტრიალიური ქრის დასაწყისი მისი სოფლის მეურნეობის და ქუცმაცებული მიკროსკოპიულ - სამომხმარებლო უჯრედები მძლავრ კოლექტიურ გაერთიანებებად გადაქცევა და ადგილობრივ დაბადა რევოლიუციის მიერ წარმოშობილი და აღზრდილი გონებრივ ძალთა მასა, რომელიც გამოყოფს ლიტერატურული ძალების თანამიმდევარ ცვლას.

წარმოდგენილი შენიშვნების სახით ჩვენ ვერ დავისახავთ მიზნად ისტორიული ნარკვევის მოცემას ამ მეტად საინტერესო საგანზე. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ზოგადათ მაინც აღვნიშნოთ ის ძვრები და გადახალისება, რომელიც მოხდა ადგილობრივ ლიტერატურულ მოძრაობაში **28 აპრილის დადგენილების შემდეგ განვლილ ერთი წლის მანძილზე**, რამდენადაც ეს აღბეჭდილია სალიტერატურო გამოცემათა ფურცლებზე.

უნდა ითქვას, რომ თუ ახალ იდეურ მხატვრულ სიმაღლის აღებისათვის და რაც მთავარია, გარდაქმნის და ზრდის სიძნელეების გადალახვისათვის [illegible] ლი მაინც და მაინც დიდი მიღწევების და შინაარსის შემცველი არაა კერძოდ საბჭოთა ლიტერატურის ქუთაისის რაზმისათვის, ყოველ შემთხვევაში იგი არის პერიოდი უკანასკნელ წლებში გამოვლინებულ ლიტერატურულ ძალთა უეჭველი ხარისხობრივი აღმშენებლობის ამოცანების გაგებასა და საქმით მისთვის სამსახურის გაწევაში.

დავიწყოთ გარდაქმნის სიძნელეებიდან; რომელიც მეტად დამახასიათებელი და შეიძლება ითქვას ტიპიურია იქვეთ საშუალო ტიპის ძველი მწერლისათვის, როგორიცაა, მაგ., **დ. თომაშვილი**, ლექსში „ძირს ომი" (გაზ. „საბჭოთა მწერალი" № 2) მეტად აქტუალურ თემას ეხება—ამსტერდამის ომის საწინააღმდეგო კონგრესს, მაგრამ ამავე ნომერში მოთავსებულ სალიტ. მეთაურის სიტყვებით რომ ვსთქვათ, მწერალი უშედეგოდ ცდილობს „ძველი იდეის და ძველი ფორმის შეგუებას თანადროულობასთან", ძველი იდეა მდგომარეობს მასში, რომ მას ყალბად აქვს გაგებული საერთოდ ომის, და მომავალი იმპერიალისტური ომის—გამომწვევი მიზეზები და ნამდვილი ბუნება, იგი ომის რაციულ და ბიოლოგიურ თეორიზაციითაა [illegible]:

ქურ გაძღა სისხლით თემური და ჩინგის ყაენი,
მან სისხლიანი ტორი თვით აქაც დაჰკრა,
მათი ხმა ისმის საფლავიდან ეს ერთი ხანი
და იმა ჟამმა ხალხთ გონება არივ-დარია.

ავტორს აქვს, როგორც სჩანს, დიდი სურვილი კონკრეტული იდეის და, რაც იგივეა, თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის და მისი რევოლიუციონურად გარდამქმნელ მუშათა კლასის პოზიციის ასახვა, მაგრამ მსოფლმხედველობითი შეზღუდულობის, გამო ამსტერდამის შეფასებისათვის ასეთ სახეს მიმართავს:

ამსტერდამმა ანათემით **კრულვა უთვალა (ომს),**
ჩვენც მას შევძახით: ჰაუ, ჰაუ, ჰაუ! ტაილო!

ასეთია ომის საწინააღმდეგო საბრძოლო ამოცანა: ანათემა და ჰაუს შეძახება, თანამედროვე პოეზიის ამოცანა, ავტორის აზრით, კი მასშია, რომ „ჩახრუხაულმა სიტყვა მისცეს ახალ რუსთველებს" და

ილიამაც უნდა დასთმოს ახოვანება,
გურამიშვილის სიტყვას, [illegible]
და შეუფარდოს თავის ცოდნა და გაქანება გაქანდაკებულს.
თვის გუთნის დედას, აწ ეხადეს ამეტყველებულს.

ე. ი. არა ილია ჭავჭავაძის იდეოლოგიის დაძლევა და უარყოფა, არამედ მისი შეფარდება საბჭოთა „გუთნის დედასთან".

ასეთივე უმტკივნეულო და უბრძოლველი შეფარდება და შეზრდაა მოცემული იმავე ავტორის პოემაში „ოკრიბა" (ჟურნ. „საბჭოთა მწერალი", № 1—2, ქუთაისი, 33), რომლის სათაური „იდილია-პოემა" უკვე [illegible] შეგნებიდან ბრძოლის და კლასობრივ დაპირისპირების მოლოდინს მართლაც, წვრილი მესაკუთრე და ღრმად ღვთის მორწმუნე ოკრიბელი გლეხი დათიკა, რომელიც სავაჭროდ მიდის ქუთაისში და გზად „გულში მუშტის ბრაგუნით" ლოცულობს მონასტერში, გლეხის სახლში ხუთიოდე დღის გატარების შემდეგ, შინ დაბრუნებისას 100 პროცენტიანი უღმერთო ხდება („აუარა მონასტერს, აღარც გახსენებია") და პატარა ელნათურით ხელში თავის სოფელში მოსული ხდება თვითდინებით გაჩენილ კოლმეურნეობის წევრი, სადაც

„მზარეული მჭადს აცხობს,
კესარია მხარს აძლევს...
სასიმინდე კარს აღებს
და დათიკა იბარებს
იმის საგდულ-გასაღებს.

ავტორისათვის სავსებით დახურულია სინამდვილე და მისი მამოძრავებელი ძალები, იგი ატრიალებს, როგორც თვითონ ამბობს „გმობის საღერღელს" (იხ. გვ. 29) მანილოვისებური სოფლის იდილიაში და გონია, რომ სოციალისტურ სოფლის ბედს „რაღაც უცნობი ძალნი სჭედავენ" (გვ. 40). ავტორის შემდეგი და გადაუდებელი ამოცანაა, რათა რაიმე სოციალური მნიშვნელობა მისცეს თავის პროდუქციას, შეიცნოს თანამედროვე ცხოვრების გარდამქმნელი მისთვის უცნობი ძალნი და მსოფლმხედველობითი გამორკვევის ნიადაგზე დასძლიოს თავისი მეტად არქაული ლიტერატურული მეტყველების საშუალებები. თუმცა ზემოთ მოხსენებულ სალიტ. თათბირზე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ქუთ. ლიტ. გამოცემებში „ხშირად ნაჩქარევი, დაუმუშავებელი და მხატვრულად უსუსური ნაწარმოებები იბეჭდება", მაგრამ „საბჭ. მწერლის" ფურცლებზე მაინც ვხედავთ ისეთ ნაწარმოებს (წარწერით „რომანი ორ ნაწილად") როგორიცაა პირდაპირ ანარქონიზმის წესით 1933 წელში გამოქვეყნებული **ე. ფურცხვანიძის** „საყდრის საიდუმლოება", სადაც, ალბად ავტორის იდეოლოგიური მოსაზრებების გამომხატველი იმერეთის ეპისკოპოსი თავის ფუნქციის და მოწოდების უარყოფამდე მიდის და კითხვაზე—თუ ვის ემსახურება იგი?—უპასუხებს „რეჟიმს, თავის თავს". თვითკრიტიკის ასეთ სიმაღლემდე ასული ეპისკოპოსები არსებობენ მხოლოდ ზოგიერთ ბელეტრისტის უქმ წარმოდგენაში, ისევე როგორც კლასობრივ მტრობაზე ეპისკოპოსთან მოსაუბრე გუბერნატორები.

მოთხრობაში „ქვასროლია" **დ. ჩიხელი** გვაძლევს სოფლის კოლექტივიზაციის სურათის მოცემის ცდას, მაგრამ ბრძოლა კოლექტიური შრომის დამკვიდრებისათვის გაშლილია ცალკეულად აღებულ და დრამატურგიულად საკმაო ოსტატობით გაშლილ კონფლიქტის საშუალებით, მაგრამ კონფლიქტი მოკლებულია სოციალურ მოტივიროვკას და ატარებს უმეტესად პირადი შეჯახების ხასიათს. კოლმეურნეთა მასას ვხედავთ მხოლოდ სტატუარულ მასიურ კადრებში, როდესაც ისინი თოხნიან, სიმინდს არჩევენ და ზიზღს უცხადებენ კომკავშირელ ბესიას მკვლელს ენანოს. მწერალი წინდაწინვე აძლევს დახასიათებას პერსონაჟებს და მკითხველისათვის უკვე აღარაა საინტერესო მათი მოქმედებაში დანახვა, მან უკვე იცის, რომ გმირი მისთვის მიკუთვნებულ როლს შეასრულებს ასე მაგ., „ბესია და ინგია მოწინავენი არიან, ანანო იმედაძე, ყოფილი ანანოვის „აბშხიკი" (საინტერესო, მაგრამ მწერლობაში ცნობილი და დამუშავებული ტიპი) თავიდანვე ატარებს ასეთ დახასიათებას: „იგი თავის ჯიბის გასქელებაზე უფრო მეტს ზრუნავდა, ვიდრე საზოგადო, სოციალისტურ საკუთრების დაცვაზე" (!?)

კომუჯრედის მდივანი ტყის მცველი თომა, „თვალი და ყურია კოლმეურნეობის. ის რომ ზეზე ადგება: ჭოგრიტით აიმართება და მუხასავით დადგება... და როცა ლაპარაკობს კედლები გამოძახილს იძლევიან, მკვეთრია მისი სიტყვა, როგორც მოჭრეული ცულდი ძელქვას რომ ძირს დაუშვებს".

სოფლის მოწინავე ახალგაზრდები სულ დარჩეული მხარბეჭიანი ეგზემპლიარებია. ბესია წამდაუწუმ ურტყამს ანანოს სახეში, ხალხის წინაშე—ფეხით თელავს მას, დასასრულ, როდესაც ბესია დასცინის მას ქვებს უშენს სიმინდის ხვავზე მომუშავე ხალხთან.

ანანო ენთება და კლავს მას. **და** თუმცა მკითხველმა იცის, რომ ბესია დადებითი პიროვნებაა, გმირია—და ანანო კი უარყოფითი და დასაგმობი ვინმეა, ამ წუთში მას არ შეუძლია ანანოს გამტყუნება, რადგან ანანოს არ მოეთხოვება ზეადამიანური მოთმინება დაუსრულებელ მორალურ და ფიზიკურ შეურაცყოფაში, რომელიც მას არგუნა ავტორმა ბესიას ყალბი თვისებებით დატვირთვის გამო.

კოლექტივის ხელმძღვანელთა მუშაობას ავტორი გვაძლევს ოქმის სრული ამონაწერის საშუალებით: მოისმინეს — დაადგინეს. „„ყოფილთა" მავნებლობა გამოიხატება სახალხო მამულის საწყობიდან სასმელების მოპარვით და, როდესაც ავტორმა უნდა დაგვანახოს მტრის მოქმედების ახალი მეთოდი და ამ მიზნით იძლევა ყანიდან ღამით სიმინდის მოპარვის სურათს, იგი არ ენდობა მკითხველს ასეთი უბრალო ამბის გაგებაში და იქვე დასძენს—„სოფლად ახალი გარემოება იყო შექმნილი, აშკარა კულაკებს გარდა, თვით მეურნეობებში იყვნენ ფარული მავნებლებიო". მოთხრობა მოკლებულია ემოციონალურ ზემოქმედების ძალას, რადგან იგი შესდგება ავტორის მსჯელობის, ოქმისებურ აწერილობითი წვრილმანების ორნამენტოვკისაგან და საერთოდ მთელი მისი ეკლექტიური (იმპრესიონისტულ - ნატურალისტური) მანერა არ უდგება დინამიკით სავსე თანამედროვე სოფლის მასალას და სტოვებს ამბის უბრალო მოყოლის შთაბეჭდილებას.

ჩვენ გვახსოვს **ვ. შავგულიძის** მოთხრობა კომკავშირელის ყოფაცხოვრების თემატიკიდან—ეს იყო ჯიბგირის და როსკიპის გამოსწორების საკმაოდ სენტიმენტალური და ხელოვნური ისტორია. მოთხრობაში იყო კომკავშირის კოლექტივის ცხოვრების კარგად დაჭერილი მომენტები. იმავე ავტორის ახალი ნაწარმოები „ახალგაზრდა მუშა" არ წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს მის განვითარებაში, რადგან არჩეულ ლიტერატურულ ჟანრის—ნოველას ბუნება არ შეეფერება ასეთ აქტიურ თემატიკას, როგორიც აქვს აღებული შავგულიძეს. ამბის მოსმენა მესამე პირისაგან და ისიც წარსულის ჩარჩოში მისი მოქცევა და თანამედროვე საწარმოო თემა — სოცშეჯიბრი—ქმნიან შინაარსის და სტილისტური ფორმის გაწყვეტას და აქედან გამომდინარე ნაწარმოების მარცხს, რაც ავტორს ავალებს შემდეგში შემოქმედებითი მუშაობის ყოველმხრივ გააზრებას და ანგარიშის გაწევას იმ გარემოებისათვის, რომ შეუფერებელ ფორმაში მოცემული შინაარსი ქმნის მასალის დეფორმაციას.

ვ. დარასელის „ნავარდი" არის ნიმუში არ განცდილის და არ ნახულის აღდგენის ცდისა მარტო მწიგნობრულ რემინისცენციის საშუალებით.

ისევ გუგუნებს ჩემი ბუხარი
და ჩემი ფიქრი რას არ ედება-ო

ამბობს ავტორი.

როდესაც ავტორი ჭეშმარიტად ბარონ მიუნხაუზენის ფანტაზიის მსგავსად თავიდანვე იწყებს ასეთი განცხადებით:

ოცდა ცხრა ტყვია მოხვდა ჩემს ნაბადს—
რამოდენიმემ ვერ მომკლა კაცი,
სამაგიეროთ არ ვხვრეტდი სამოსს
მიზნად ყოველთვის მიყვარდა მკერდი,
ბრძოლების შემდეგ იყო საამო.
როცა მადლობას თვალებით ვკრეფდი.

მკითხველს ერთმევა საშუალება სერიოზულად მოეკიდოს ნაწარმოების ქარგას და ავტორსაც.

„... არავინ აღარ დაუშლის
მოყვეს წარსული როგორც ზღაპარი...

არ განცდილის და საერთოდ უცნობ მასალაზე წერა ავტორს აუღია მეთოდათ (იხ. მისივე „განთიადამდე") (გაზ. „საბჭ. მწერალი" № 2) რაც ლიტერატურშჩინის და შტამპის გზაა. დაბრუნება ნაცნობ მოვლენებთან და საგნებთან და მათი მხატვრულ-იდეურ ორგანიზაციისათვის ზრუნვა —აი ავტორის უახლოესი გზა.

გაზეთ და ჟურნალ „საბჭოთა მწერლის" ნომრებში მოთავსებული ამხ. ამხ. **ბახტურიძის, გიახელის, ხმალაძის, დ. ჩხ-ძის** და სხ. კრიტიკული ნარკვევები ძირითადში სწორად უდგებიან მხატვრული პროდუქციის გარჩევას, მაგრამ უნდა აღინიშნოს წერილების განყენებული ხასიათი და მათში დღემდე შერჩენილი ყოფ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის კრიტიკოსების ყველაზე ცუდი კრიტიკული ჩვევების გადმოღება, რაც გამოიხატებოდა პროლეტ. და საერთოდ საბჭოთა მწერლების რომელიმე თაობაზე სამუდამოთ მიმაგრებით და სტაბილური სიებით ზოგადი მათი მოხსენიება ორი სამი სიტყვის დამატებით.

გაზ. „საბჭოთა მწერლის" № 3—1933 წ. ჩვენ **პროფ. გ. ახვლედიანის** პირით სრულიად მოულოდნელად ვიგებთ, რომ „ხა-



კმარისია მარქსიზმის კლასიკოსების ერთი ზერელე გადახედვაც კი, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა შეუძლიათ მოგვცენ მათ ენის რაობისა და მისი შესწავლისათვის" (იხ. გ. ახვლედიანის წერილი—„ბურჟუაზიული მემკვიდრეობის დაძლევისათვის ენათმეცნიერებაში მარქსიზმის კლასიკოსების მითითებათა საფუძველზე") ენათმეცნიერების პატივც. პროფესორი წმინდა პროზელიტური პათოსით მოუწოდებს ყველა ენათმეცნიერების დარგში მომუშავეთ, რათა მარქსისტულ - ლენინურ თეორიის მძლავრი იარაღის მომარჯვებით „შევძლოთ მარქსისტულ ენათმეცნიერების საფუძვლის ჩაყრაო". მაგრამ გ. ახვლედიანი ტყუილად გარჯილა: როგორც სჩანს მას ზერელედ გადაუხედავს არა მარტო მარქსიზმის კლასიკოსებისათვის, არამედ მარქსისტულ ენათმეცნიერების სინამდვილისათვის საბჭოთა ქვეყანაში, რომლის საფუძვლები კარგა ხანია ჩაყრილია და რომლის გარშემო ჯერ კიდევ 1922 წ. ლენინის წერილის საფუძველზე შემჭიდროებულია.

თანამიმდევარ და მებრძოლ მატერიალიზმის ყველა მომხრეები.

ქუთაისის საბჭოთა მწერლობის ორგანიზაციას მოეპოება ყველა საშუალება იმისათვის, რომ განავითაროს ბრძოლა 23 აპრილის დადგენილების მიერ დასახულ მხატვრულ შემოქმედების სერიოზულ გაქანების უზრუნველსაყოფად, რომ კიდევ უფრო დიდის ეფექტიანობით შეასრულოს როგორც კოლმეურნეობებიდან და საწარმოებიდან მისულ პროლეტარულ ლიტერატურის კადრების აღზრდა, ისე ძველ მხატვრულ ინტელიგენციის სოციალისტურად გადამუშავების ამოცანა, რათა ერთ მძლავრ ნაკადათ შეუერთდეს საერთო ღონისძიებას სოციალისტური ლიტერატურის შექმნის დიად საქმეს.

ალი არსენიშვილი.

...იური ო

ის

ლუიად ძალიან ჩამორჩა
ი წელი გავ ადმდველობაში ჩამოსულ
ვ. (ბ) ცენტ ჯიასიასტები, ბოძლეოლე-
აცგენილება გ ა მხოლოდ სახელმძღ-
ერატურო ორ ხულის პერიოდში —
ესახებ. რი. ვერც ერთი ზემო-
ოთა მწერლებ ნიზაცია ვერ აკისყო-
რად“ გაიგეს მოთხოვნებს, როიელ
დ იმისა, რომ ტურების ხელოვნებას.
ოკუმენტში ოიეთება, რომ ჩვენ
ვით არის ნა ზაციების მხატვრულ
ოლეტარული ლიტერატურულ დონეს
ბის კადრები უკვე გაიზარდა,
თა კოლმეურნეობა

გრიგოლ ორბელიანი

პოეტის პროფილი

⁂

გრ. ორბელიანი ამ ორმოცდაათი წლის წინედ დაასაფლავეს ქვაშვეთის ეკლესიაში; ასეთი დიდებული გასვენება, აკაკის სიტყვით, იმდროინდელ საქართველოში არც ერთ მოღვაწეს არ ღირსებია.

საფლავზე წარმოთქმულ სიტყვებში **პოეტი-სარდალი** ცამდე აიყვანეს: ილია იგი „ჩვენი სიტყვიერების მეფედ“ მონათლა; გენერალმა ყამარჯიძემ — „კავკასიის თავადთა წინამძღოლი“ უწოდა; ალექსანდრე მესამემ დეპეშით დააპკურა მისი უდიდებულესობის ცრემლები. გაზეთის რეპორტიორმა მოკლედ მოჰკვეთა: **„ჩვენი დიდება, ჩვენი მზე ჩაასვენეს საფლავში“**. ორი წლის შემდეგ მისი მეხოტბე-ბიოგრაფი სწერდა: „ასაფლავებდნენ კაცს, რომელსაც დასტიროდა მთელი საქართველო, რომელმაც ქართველის სახელი და ქართული სიტყვა აღიყვანა იმ სიმაღლემდე, რომელსაც არავინ შესწვდენია არა მარტო ამ საუკუნეში“...

ამავე ბიოგრაფმა გრ. ორბელიანი **პოეტი-სარდლის** სახელობით მონათლა. იგი მართალი იყო: გრ. ორბელიანი **რუსის დიდი სარდალიც იყო და ქართველი დიდი პოეტიც**. კიდევ მეტი: იგი ჯამბაკურიანთა გვარის **უკანასკნელი მაგიკანი იყო**.

და ამ დიდი სარდლის და დიდი პოეტის ამ ორმოცდაათი წლის წინედ ქვაშვეთის ეკლესიის საფლავში ჩაშვება ჩვენი დიდების ჩასვენებას, ჩვენი მზის დაბნელებას შეადარეს. მაგრამ არანაკლებ დიდი პოეტი **აკაკი** ქარაგმებით მაინც ამბობდა: „გაზვიადება და ნამეტნაობა შეცდომაა“, „ნამდვილი მამულიშვილი“, შემდეგმა საუკუნე უნდა მოგვიმზადოს“. და ეს „ჩვენი დიდების“ უკანასკნელ გამოსათხოვარ სიტყვაში იყო ნათქვამი.

⁂

მე არ ვიცი საქართველოში არც ერთი პოეტი, არც ერთი მწერალი, არც ერთი მოღვაწე, რომელიც ისე ღრმად, მთელი თავისი არსებით აკივლებულიყოს „საკუთარი ოჯახის გაწყალების“, „საშინლად დასჯილი გვარის“ გამო, როგორათაც ეს სჩანს გრ. ორბელიანის წერილებში. პოეტის კერძო წერილებში—ქართველი ერემიას გოდება არის ყაფლანიანთა დაღუპულ გვარის საფლავთან დანთხეული.

ოჯახი და გვარი ფეოდალური შემეცნების ასპექტში ისახება. განუყრელი ოჯახი, მაგარი დუღაბით შეკრული, გვარის სიძლიერისა და საზოგადოებრივ - ეკონომიური ბატონობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. გვარის ეკონომიური შეძლება მისი პოლიტიკური წონის გამომსახველი იყო. ეს ფეოდალური კონცეპცია ღრმად ჰქონდა გრ. ორბელიანს გამჯდარი ძვალსა და რბილში. კიდევ მართალი იყო მისი ბიოგრაფი **ი. მეუნარგია**: ორბელიანმა „მთელი თავისი ღონისძიება თავის დაცემულის ოჯახის და გვაროვნობის აღდგენას მოახმარა“.

ეს არ იყო უბრალო ინსტიქტი თავის გადარჩენისა და არსებობისა, ეს ღრმა შეგნება იყო ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნებისათვის. ეს ფეოდალური შეგნება ამოძრავებდა გრ. ორბელიანს, იგი ედვა სარჩულად მის პოეზიას და მის პრაქტიკულ საქმიანობას. დიდი პოეტის შემოქმედებითი ალმაფრენა, დიდი სარდალის მოქნეული ხმალი, „შედარებით მმართველის“ მკაცრი ბრძანება, ყაფლანიანთა დიდი მეთაურის საქმიანობა ოჯახისა და გვაროვნობის შეგნების ნიადაგზე იყო ამეტყველებული. ვერავინ უსაყვედურებს დიდ აკაკის: გრ. ორბელიანს „ხალხიცა და ცხოვრებაც ბიუროკრატიულად და ბატონკაცურად ესმოდა, იმდენად სწამდა საქართველო, რამდენადაც საჭირო და გამოსადეგი იყო მისთვის და მისიანებისათვის“...

გრ. ორბელიანის **პატრიოტიკა** გვაროვნობის საფუძვლებზე იყო აღმოცენებული: ყაფლანიანთა ბედნიერება და საქართველოს დღეგრძელობა მის ფეოდალურ შემეცნებაში სინონიმები იყო. დაცემა ორბელიანთა გვარისა ბუნებრივად იწვევდა პატრიოტულ - პესიმისტურ აგზნებას საქართველოს დაღუპვის შესახებ.

ისტორიის ნებეზიდამ დიდგვარიანთა ბატონობას საქართველოში ნიადაგი შეურყია: რუსეთის თვითმპყრობელობამ თავაშვებული ფეოდალები დაიოკა და თავის ბიუროკრატიულ - პოლიციურ აპარატის სახურ არისტოკრატიად გადააქცია: ძველი **ამაყი ფეოდალი** მორჩილ **ჩინოვნიკ-არისტოკრატად** გადაიქცა. ეს პროცესი არ იყო ადვილი ასატანი ქედფიცხელ ქართველ ფეოდალისათვის, რომლის პოლიტიკური ბატონობა ჩინოვნიკის დონემდე დადიოდა. ამ პოლიტიკურ - ფეოდალურ შეგნების ფონზე აღმოცენდა ის ბრძოლება, რომელიც მსხვილმა ფეოდალურმა არისტოკრატიამ გადაიხადა ცარიზმის წინააღმდეგ. და 1830—32 წ. შეთქმულებით ხერხემალ გატეხილმა ფეოდალურმა არისტოკრატიამ ისევ დიდებულ ტახტის“ და „სახელოვან მეფის“ მფარველობის ქვეშ ამოყო თავი და თავისი ბედნიერების გზა სახელმწიფო - სამხედრო სამსახურის მაღლად მიმავალ საკარიერო კიბეებში დაინახა. გ. ორბელიანმა ამ კარიერის კიბეები ყველაზე ენერგიულად აირბინა და გამარჯვების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია: ქართველი დიდი ფეოდალის მემკვიდრე რუსის ორდენებით დაჯილდოებული დიდი სარდალი და კავკასიის ვიცე-ნამესტნიკი გახდა.

მაგრამ ფეოდალური არისტოკრატის ბატონობას მეორე მძლავრი ტალღაც მოხვდა: ახალმა ეკონომიურმა ვითარებამ, სავაჭრო-სავახშო და შემდეგ სამრეწველო კაპიტალმა მისი საბუდარები შეარყია და დაღუპვის გზაზე დააყენა, ფეოდალური გვარის ბატონობა დალეწა და ოჯახი ინდივიდუალურ - მეშჩანურ საფუძველზე ააგო. ამ რღვევის პროცესში მოყვა ორბელიანთა დიდი გვარი: იგი ვერ გადაარჩინა ვერც გრიგოლის ვიცე-ნამესტნიკობამ და ვერც იმპერატორის მისდამი სიყვარულმა. „ამ გვარში ქონებრივ სიღარიბეს ზედ-დაერთო **სისხლის სიღარიბეც**, — არავინ იბადებოდა ამათ ოჯახში“ (ი. მეუნარგია). აი ის „დიდი“ სოციალური პრობლემა, რომელთაც „უკანასკნელ დღეთა“ უმწარებდა მოხუც პოეტს, აი სათავე და წყარო, რომლიც „განუშორებელი ფიქრებით“ ავსებდა პოეტის ტვინს. 1878 წ. პოეტი სწერდა თავის რძალს—სოფიოს:

„... გულით ვარ ღრმად შეწუხებული, ვხედავ რა ჩვენის ოჯახის ესრეთ გაწყალებასა, ესრეთ გაოხრებასა!... ჩემს ქუჩაში უცნობი შევიქენ სხვათათვის!.. ვაი ჩვენს ოჯახსა, ასე უწყალოდ დაცემულსა! რა შეცოდება ჰქონია წინაშე ღვთისა, რომ ასე საშინლად ისჯება ჩვენი გვარი... სახსენებელი ჩვენის ოჯახისა განჰქრა, ვითარცა სიზმარი! ჩვენს ქუჩაში, ჩემის ბიძაშვილების მაგიერ, **ჩამოეთესლენ** პოლოზოვები, აბოვიანცები, ფიტარეთი. ჩვენის მამა-პაპების სასაფლავო, უფალს თაიროვს გაუხდია ცხენების ფარეხად!! **ჩემის სიბერის უკანასკნელთა დღეთა მიმწარებს ის განუშორებელი ფიქრი ჩვენის ოჯახისათვის**“.

გადაშენების გზაზე შემდგარ, ერთ დროს დიდი გვარის „სისხლის სიღარიბე“ და „თესლის“ დეგენერაცია. „ჩამოთესლილთა“ ფარული, მაგრამ ენერგიული შემოტევა— რისხვითა, შხამითა და ბოღმით ავსებდა დიდი სარდლის რუსის ორდენებით დამჭვენებულ გულს. 1882 წ. იგი სწერდა ივ. ორბელიანს:

„დავმარხეთ საბრალო დიმიტრი ვახტანგის შვილი... და **ამოწყდა** ამის სახლიცა. ღმერთო! **რა საშინლად ჰქრება ჩვენი ვეება ოჯახი**, რომელზედაც ჰსჩანს ცხადად ზეგარდმო **რისხვა!** სარდლიანთ ოჯახიდამ არის მხოლოდ **უშვილო** ივანე; ასლანის ოჯახი **გაჰქრა**, როგორცა **მოვარდა** გიორგის ოჯახი; იოსების სახლიდამ დარჩით გიგო, შენ და სანდრო, სამივე **ჰანები**, **„უშვილონი“** სოსიკოს სახლში ჰსდგას პოლოზოვი, სამარადონის სახლში — საგინოვი; ალექსანდრეს ადგილას—აბოვიანცი, ძაღლი და მამაძაღლი; ჩვენ სამთა ძმებთაგან **დაგვრჩა** მხოლოდ ერთი გიორგი!! არის **ქაჩალი კოტე**, **ვალში დაღუპული** და მასთან ერთად **დაღუპულივე პაიკო** სამა! ჩვენ ყაფლანიანნი **ვიღუპებით**, მაგრამ **არც სხვანი ბედნიერებენ**; მოგვდევენ დიდად **გაჰქარებული** სოლაღაანნი, ბარათაანნი, ერისთავნი, აბაშიძიანნი, თარხნიანნი, ჭავჭავაძიანნი, ვაჩნაძიანნი და სხვანიცა და დიდად სცდილობენ, რომელი მათგანი მალე **დაიღუპება**“.

ეს წერილი ნიადაგშერყეულ და „თესლგაღარიბებულ“ ყაფლანიანთა უკანასკნელი მაგიკანის პესიმისტური შუტადაა. ეს ისტორიული დოკუმენტი ძვირფას მასალას იძლევა განწირულ გვარის მებაირახტრის, სახელოვან პოეტის ლექსიკის შესასწავლად.

„ამოწყვეტა“, გაწყალება, გაოხრება, საშინელი, ჰქრება, რისხვა, ამოვარდნა, ჰანი, უშვილო, დაგვრჩა მხოლოდ, ქაჩალი, პაიკი, ისჯება ჩვენი გვარი, ვალში დაღუპული, ჩამოეთესლნენ, აღარავინ გვებადება, აღარავინ გვეზრდება, აიყარენით,—აი სიტყვათა ის მრავალფეროვანი მარაგი, რომლითაც ამკობს თავის წერილებს „სიტყვის მეფე“ (გ. ორბელიანი) პოეტი. ყოველი სიტყვა გაჟღენთილია ღრმა სასოწარკვეთილებითა და ბოღმით. ეს მრავალსახოვანი სიტყვათა კონა, **დამავალ კლასის**, ისტორიის მიერ განწირულ დიდი წოდების („ცხადად სჩანს ზეგარდმო რისხვა“) ამოუწურავი **პესიმისტური ლექსიკაა**. სამსახურის უმაღლესს მწვერვალს მიღწეული, იმპერატორის კალთებქვეშ შეფარებული დიდი სარდალი და დიდი პოეტი უკვე ხედავდა, რომ მის **დიდ გვარს** ისტორიის სარბიელი უნდა გაენთავისუფლებია და სხვისთვის დაეთმო პირველობა. პოეტის შეგნებით, იღუპება ისტორიის უდიდესი მამოძრავებელი ძალა, საქართველოს დიდება და სიამაყე.

„არა, ჩემო რევაზ, სულ ტყუილია ჩვენი მეცადინეობაცა, ჩვენი სურვილიცა. ცხადად სჩანს რისხვა ღვთისა ჩვენზედა მოვ- და ვიღუპებით. აღარავინ გვებადება, აღარავინ გვეზრდება; ხმა საიდუმლო მესმის: „აქამდი იცოცხლეთ, კმარა, გეყოფათ, აიყარენით“!—ასე სწერდა ღრმად მოხუცი პოეტი 1882 წ.

გრ. ორბელიანის საზრუნავი საგანი მთელი ქართველი თავად-აზნაურობა იყო; მაგრამ შევცდებით თუ ვიფიქრებთ, რომ იგი ერთნაირად ფიქრობდა ამ წოდების შემადგენელ ფენებზე. გრ. ორბელიანი მსხვილი ფეოდალური მემამულეთა იდეოლოგი იყო და პრინციპიალური მომხრე ამ წოდების შიგნით არსებულ იერარქიულ გრადაციების დაცვისა. იგი თავიდანვე აღშფოთებით შეხვდა „საბატონო აზნაურთა“ განთავისუფლებას“. 1884 წ. მან ტფ. თავად-აზნაურთა კრებაზე სასტიკად გაილაშქრა **აბაშიძიანთა უფ. აზნაურის** და დიდი ჩინოვნიკის **დ. ყიფიანის** ტფ. გუბერნიის თ.-აზნაურთა მარშლად არჩევის წინააღმდეგ; როდესაც დამარცხდა მან და ივ. მუხრან-ბატონმა „დანოსი“ შეიტანეს, რომ არ დაემტკიცებიათ დ. ყიფიანი და ამით არ დაერღვიათ საქართველოს ბრწყინვალე წლების ტრადიცია, რომლის მიხედვითაც აზნაურს არ შეეძლო ამ წოდების მარშლობა. 1877—8 წ. საბანკო კრებაზე გრ. ორბელიანი აცხადებდა: „ჩვენი დღევანდელი უბედურება ის არის, რომ მე, ყაფლანიშვილს და ვიღაცა ცალქალამანიძეს ერთი და იგივე უფლება გვაქვს მინიჭებული, ერთი და იგივე ძალა!.. იმასაც ჩემდენი შეუძლია ამ საბანკო საქმეში“. (ა. წერეთელი, ტ. 1, 92)

გრ. ორბელიანს ბატონყმობა საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად საფუძვლად მიაჩნდა. მაგრამ, როგორც მეფის ჩინოვნიკი **იძულებული იყო** „კაცი მოყვარე ხელმწიფეს“ ბრძანებას დამორჩილებოდა და თვითონაც ურჩევდა მემამულეებს „გულდამშვიდებულად, სისხლ აუღელვებლად“ გაეტარებიათ მეფის კანონი. მაგრამ დიდი ფეოდალი და დიდი ჩინოვნიკი თავისებურ შინაარსსაც აძლევდა მეფის ისედაც კუდშეკვეცილ დებულებას: **„ფული და მამული მებატონეებსა და დანარჩენი გლეხებსა“**. წინააღმდეგ შემთხვევაში „საქართველოს თავად-აზნაურნი **დაიღუპებიან**“, „ორს წელიწადსაც **ვერ გასძლებენ**“, **„სიგლახაკეში“** ჩაცვივიან.

⁂

თავისებური გზით მიემართებოდა გრ. ორბელიანის **პატრიოტიკის** მთავარი მაგისტრალური ხაზი. მისი პატრიოტიზმი ფეოდალური შემეცნების ასპექტით იყო ასახული და დიდი მემამულის წოდებრივ-გვაროვნული პატრიოტიკით იკვებებოდა. კ. აბაშიძეც იძულებული იყო აღიარებინა: გრ. ორბელიანი „ზურაბიანთ გვარეულობის დაცემასა და საქართველოს დაღუპვას ერთმანეთს უკავშირებდა“ (ტ. 1, გვ. 33).

20—30-იან წლებში გრ. ორბელიანმა გამოავლინა მეამბოხე ფეოდალის პატრიოტიზმი. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ა. ციციანოვის მემკვიდრე ერმოლოვი მაგარი მუშტით ამსხვრევდა ქართველ ფეოდალთა [illegible] და „ისპრავნიკობის“ ბატონობას, ამტკიცებდა საქართველოში, ამ თავხედურმა პოლიტიკამ ერთხელ კიდევ აამხედრა დიდ ფეოდალთა მემკვიდრენი და საფუძველი ჩაუყარა 1830—32 წ. შეთქმულებას.

ამ პერიოდში გრ. ორბელიანის პატრიოტული ლოზუნგი იყო:

„ჟამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ლესულსა“.

ამ პატრიოტულ ჰანგზე ჟღერდა ახალგაზრდა პოეტ გ. ერისთავის ჩანგიც: „ტფილისის უწყებაში“ დაბეჭდილ **„ოსურ მოთხრობაში“** (პოემა) იგი ჟღეროდა:

„და გადავსწყვიტეთ [illegible] დაღვრა სისხლისა, ვით მოითმენდა გული ჩვენი ესთა საქმეთა“.

ამავე პერიოდში ბერმა **ფ. კიკნაძემ** შეთხზა „აქტი გონივრული“, ხოლო პუბლიცისტი **სოლ. დოდაშვილი** ამბოხების პროკლამაციებით უმასპინძლდებოდა საზოგადოებას. თითქოს ჰაერი ფეოდალთა ამბოხების სულით გაიჟღენთა, მაგრამ ჩრდილოს გრიგალმა ერთი შემობერვით გაჰფანტა, და შეთქმულთა მონაწილენი ერთგულების ახალ ფიცს სდებდნენ რუსეთის ტახტის წინაშე. ორბელიანი აღფრთოვანებით სწერდა: „მართლ მსაჯულებათა სრულებით გამამართლეს... უბედურება ჩემი იყო მოულოდნელი და ჩემის გამოუცდელობისა გამო“. ავლაბრის „ყაზარმაში“ დადებული ფიცი პოეტმა პირნათლად მიიტანა საფლავის კარამდე: **იგი ბოლომდე დარჩა ერთგული დიდი ტახტისა და მოწყალე ხელმწიფის**, და ეს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც დაამტკიცა დიდმა ქართველმა პოეტმა და რუსმა სარდალმა: მთელი 30 წლის განმავლობაში მხნე მეომარი და გამოცდილი მმართველი სისხლით, ზარბაზნებითა და სახრჩობელათი უმორჩილებდა რუსეთის თვითმპყრობელობას ა.-კავკასიის ამბოხებულ ხალხს და ამით ამტკიცებდა ჩვენში რუსეთის ბიუროკრატიულ - პოლიციურ წყობილებას. დაღესტნის მთები, ავარიის მიდამონი, ზაქათალას, და გურიის ველები, ტფილისის ქუჩები ქედფიცხელმა სარდალმა მეამბოხეთა სისხლით მორწყო. — „ვეება ხევი ავავსე იმათის დახოცილებითა; ორნი ნაიბნი და მრავალნი მწიგნობარნი ყადიები სულ შტიკებზე ავაგებინე“... „დღეგრძელობა შენ გქონდეს, რომ მე ისინი დათვსავით ვაღრიალე და კახეთის სისხლი აგიღე“ — აი სარდალ - პოეტის იმ პერიოდის წერილების თემატიკა. გრ. ორბელიანმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია: ბარიატინსკიმ მას თავისი ექსელბანტები გაუგზავნა, მეფემ გენ.-ადიუტანტობა უბოძა და თავის სვიტაში ჩარიცხა; იმავე ბარიატინსკიმ თავის თანაშემწედ დანიშნა. კავკასიის ვიცე - ნამესტნიკს, იმპერატორის გენერალ - ადიუტანტს, ქართველ დიდ პოეტს მისი სამხედრო მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად თვით ალექსანდრე მეორემ გადასცა „ანდრია პერვოზვანნისა ლენტით და რესკრიპტი“. იმ დღეს პოეტმა ახალი ლენტით გულ-მკერდ შემოსილმა „თავ-მაღლა“ აწეულად მოისმინა წირვა: ხოლო მეორე დღეს მეფის რესკრიპტი მთელ საქართველოს ახარა:

„ახლა, როდესაც პირველად ვნახეთ კავკასიის აქეთა მხარე, მთლად დამორჩილების შემდეგ, მოვისურვეთ აღვნიშნოთ თქვენი მხნე და ძველი სამსახური. მამულისა და ტახტის წინაშე ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში და მით დაგიმტკიცოთ ჩვენი კეთილი განწყობილება თქვენდამი“.

პოეტის მუზაც დაუცხრომლად მეტყველებდა რუსეთის გვირგვინოსანთ შესამკობლად ეს შეხედულება თავად-აზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური კრედოს ლეიტმოტივს შეადგენდა. ასე მეტყველებდნენ დიმ. ყიფიანი, გაბრიელ ეპისკოპოზი და ილია ჭავჭავაძეც. ასევე ერთგულების ცრემლებით კვნესოდა **გიორგი ერისთავი** „ივერთა დაობლებას“, ოდეს „დიდი ხელმწიფე ტახტით წაგვერთო“ (ნიკოლოზის გარდაცვალება).

ამ მაგისტრალებს არასოდეს აღარ გასცილებია გრ. ორბელიანის პატრიოტული ტემპერამენტი.

გრ. ორბელიანი დიდი შემოქმედებითი ტემპერამენტის პოეტი იყო. პირდაპირ განცვიფრებას იწვევს, — ეს შინაგანი პოეტური წვა და შემოქმედებითი ცეცხლი როგორ აჩერებდა დიდი გაქანების პოეტს, რომ ის თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ რამოდენიმე ათეულ ლექსში ამეტყველდა! მაგრამ პოეტს მეორე შინაგანი წვაც ჰქონდა: ომი და ზარბაზნები, „ხმლისა ტრიალი, ძლევის ყიჟინა“, „უშიშრად ათას მახვილთა შებმოდა“.

ოსმალ-სპარსნი,
დაღისტნის მთები
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეს.

გრ. ორბელიანში დიდი მეომარი და დიდი მმართველი ყოველთვის სჩაგრავდა დიდ პოეტს.

გრ. ორბელიანის პოეზია წარმოადგენს **მეომარ - ფეოდალური** ფენის პოეზიას როგორც თავისი ძირითადი შინაარსით ისე თავისი თემატიკითაც. „დრო მამებისა, ვაჟკაცობისა“ მისი პოეზიის ძირითადი თემა არის. მაგრამ ამ „მამების დროს“, მათ „ვაჟკაცობას“ ისტორიამ საფუძვლის გამოცლა დაუწყო; დიდი ფეოდალური არისტოკრატია დაშლისა და „დაღუპვის“ გზას დაადგა: „ახლა ამასთანა შეიცვალა ცხოვრება და **ჩვენ ახლისა ცხოვრებისათვის არ ვიყავით შემზადებულნი**“ — წუწუნებდა პოეტი და მისი პოეზია თანდათან სასოწარკვეთილებით იჟღინთებოდა:

„წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოველი კეთილი თანა წარიღეს“ ეს დიდების სცენიდან **ჩამომავალ კლასის** სასოწარკვეთილი გოდებაა. პოეზია გრ. ორბელიანისათვის „შექცევისა“ და „საამო ტკბობის“ საშუალებად არის და თავისი კლასის ბრძოლის იარაღიც. „პასუხი შვილთა“ პოლემიკური პამფლეტი იყო „სახელოვან გმირთა“ დასაცავად „ცრუ ლიბერალებისა“ და „ჟურნალისტების“ თავდასხმისაგან დასაცავად.

გრ. ორბელიანის პოეტური შეგრძნობა რაინდულ - სამხედრო ასპექტში ისახება: იგი საქართ. წარსულ—„დიდებას“, „ხმალთა გრიალში“, „ცხენთა თქრიალში“ და რაინდულ თავდადებაში ხედავს; „სად დასთხეე გმირთ სისხლი“ — „გულუზრუნველთა მოლხინე“ პოეტი „თაყვანს-სცემს ღვინოებით“.

ცდება ის ვინც ფიქრობს, რომ გრ. ორბელიანს რუსის ჩინებსა და აქსელბანტებზე „უფრო უყვარდა მეთევზე ლოპიანას ვერცხლის [illegible] და წითელი ხელსახოცი“. გრ. ორბელიანისათვის „ლოპიანა“ გართობისა და „დარდიმანდული ლხინის“ საშუალებაა, ხოლო ჩინი და აქსელბანტები ცხოვრების მთავარი მოწოდება, „ლოპიანად ქცევა“ პოეტს არასოდეს არ აწუხებდა, ხოლო „ორთაჭალის ბაღში“, „დარდიმანდული ლხინი“, და „ჯამით ტოლუმბაშობა“ ჩინითა და აქსელბანტებით შემოსილ პოეტის გართობის და დათრობის საშუალება იყო.

სიყვარული ორბელიანის შეხედულებით „ამამაღლებელი“ განცდის გამომწვევი ძალაა.

ბედნიერება დღეთა ჩვენთა
არს სიყვარულის ყვავილი.
რა გაჰქრეს მისი სიტურფე
სიხარულს ნუღარ მოელი.

გრ. ორბელიანის პოეზია გაჟღენთილია „სიცოცხლის ტკბობის“ შეგზნებით; მისი პოეტური აღნაგობა „ტკბობის“, „ლხინისა“, „თრობისა“, „სიყვარულის ყვავილოვანების“ შეგნებაზე იშლებოდა. ეს გრ. ორბელიანის პოეზიის ოპტიმიზმის ლეიტმოტივია; მაგრამ პოეტის გრძნობა უკანასკნელ ხანებში სევდით აივსო: „ძველი დიდების ხილვით, შავდროთა ძალით ფერწასხდენილი“, „აღარ უბრწყინავდა, აღარ შვენოდა“, მისი დიდი გვარი და ოჯახი **„გაწყალდა“**, უცხო ხალხი, **„შემოეთესლა“**. ასე გაღრმავდა პოეტის რომანტიული გოდება წარსული დიდების შესახებ და პესიმისტური მოთქმა „დაღუპულ“ აწმყოზე.

დავბერდი. ბედს ვერ მოვესწარ.
დამეხო ჩემი სამშობლო.
გულს მიკლავს უიმედობა
საფლავს ჩავდივარ სიმწარით.

ეს პოეტის უკანასკნელი ლექსი იყო (1883 წ.) ამ „უიმედობით გულმოკლული“ ჯამბაკურიანთა ეს უკანასკნელი მაგიკანი ორმოცდა ათი წლის წინად „დიდის დიდებით“ ჩაუშვეს ქვაშვეთის საფლავში.

სიმონ ხუნდაძე.

სალამო 23 აპრილზე

ლიტერატურის და ხელოვნების საკითხებზე საკ. კ. პ. (ბ)-ის ც. კ.-ის 23 აპრილის დადგენილებიდან ერთი წლის შესრულების აღსანიშნავად მწერალთა კლუბში შესდგა სალამო. სხდომა დაიწყო ამხ. პ. **საყვარელიძის** სიტყვით. საქ. საბჭოთა მწერლების მიერ 23 აპრილის დადგენილების რეალიზაციის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ბესო ჟღენტმა**.

სიტყვები იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა ც. კ.-ის ისტორიულმა დადგენილებამ მათ მხატვრულ შემოქმედებითი მუშაობაზე წარმოსთქვეს **მიხ. ჯავახიშვილმა, სიმ. ჩიქოვანმა, პ. ჩხიკვაძემ, ტიციან ტაბიძემ, სანდრო ეულმა**.

ნაწყვეტები თავის ახალი მხატვრული ნაწარმოებებიდან წაიკითხეს **ლეო ქიაჩელმა, კ. გამსახურდიამ, ნიკო ლორთქიფანიძემ, კ. კალაძემ, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, პ. სამსონიძემ, შვილმა**.

სალამოს მწერალთა აქტივის გარდა, დაესწრო დიდძალი ხალხი.

გ. ტაბიძის იუბილე

[illegible] მწერლების [illegible] დიუმმა, ჟურნ. „მნათობი“-ს რედაქციასთან ერთად დაადგინა გალაქტიონ ტაბიძეს გაუმართოს სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე.

ამასთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა გ. ტაბიძის იუბილეს ჩასატარებლად საჭირო ღონისძიებების გამომუშავებასთან ერთად, შეადგინოს იმ მწერალთა სია, რომელთაც მათი ლიტერატურული დამსახურების და თარიღების მიხედვით მიმდინარე წელს უნდა გაემართოს იუბილე.

მ. შაგინიანი

30 წ. ლიტერატ. მოღვაწეობის საზეიმო სხდომაზე

19 აპრილს მოსკოვში საბჭოთა მწერლების ორგკომიტეტში შესდგა საზეიმო სხდომა მწერალი ქალის მარიეტა შაგინიანის ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლის თავის შესრულების გამო.

კრება გახსნა საბჭოთა მწერლების კავშირის პ.-მგ. მდივანმა ამხ. კირპოტინმა, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მარიეტა შაგინიანი ისეთი მწერალია, რომელიც იბრძვის მუშათა კლასთან ერთად კაცობრიობის საუკეთესო, ბრწყინვალე მომავლისათვის.

წაკითხულ იქნა იუბილიარის სახელზე მიღებული მისალმებანი —ამხ. **ბუბნოვის**, **ამხ. ლუნაჩარსკის**, სომხეთის ცაკისა და განსახკომის და სხვ.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: **ბეზიმენსკი**, ძორაჰესის უფროსის მოადგილე ამხ. **სახარნიკოვი**, საგეგმო აკადემიის სახელით მისალმა **ისკარევმა**, იუბილიარს მიესალმა აგრეთვე **სეიფულინა** და ამხ. **ავდეენკო** — მაგნიტოგორსკის ლიტერატურულ ორგანიზაციების სახელით.

დიდი მოხსენებით **მარიეტა შაგინიანის** შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა ამხ. **ერმილოვი**.

საზეიმო სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოსთქვა იუბილიარმა, რომლის გამოსვლას აუდიტორია მქუხარე ტაშისცემით შეხვდა.

დისპუტი

არსენა მარაბდელზე

დისპუტმა „არსენა მარაბდელზე“ (24 აპრილი, რუსთაველის საკონცერტო დარბაზი) დიდძალი საზოგადოება მიიზიდა.

დისპუტს შესავალი სიტყვა წაუმძღვარა საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარემ ამხ. **მალაქია ტოროშელიძემ**

ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. **სიმონ ხუნდაძე**.

დისპუტში მონაწილეობა მიიღეს **კონსტ. გამსახურდიამ, დიმ. ჯანელიძემ, სავლე აბულაძემ, ბესო ჟღენტმა**. რომანის ავტორმა **მიხეილ ჯავახიშვილმა**.

დისპუტი დამთავრდა მომხსენებლის დასკვნითი სიტყვით. დისპუტის ანგარიშს მოვათავსებთ ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში.

ვლადიმერ მაიაკოვსკის

ხსოვნის სალამო

14 აპრილს მწერალთა კლუბში გაიმართა მაიაკოვსკის ხსოვნის სალამო, მისი გარდაცვალებიდან 3 წლის-თავზე. მოხსენებები წაიკითხეს ამხ. **სიმ. ჩიქოვანმა და შკლოვსკიმ**. სიტყვები წარმოსთქვეს: **ტიციან ტაბიძემ და გ. ნატროშვილმა**.

მაიაკოვსკის ლექსების თარგმნები წაიკითხა **მიქელ პატარიძემ**.

დ. ბედნის იუბილე

◆ **დემიან ბედნის იუბილე.** დემიან ბედნის ლენინის ორდენით დაჯილდოვებასთან დაკავშირებით ადერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოსთან მოეწყო საგანგებო ბიურო, რომელიც ჩაატარებს ლექციებსა და მოხსენებებს მისი მხატვრული შემოქმედების შესახებ კულტურის სასახლესა, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებსა, კლუბებსა და მსხვილ საწარმოებში პოეტის შემოქმედებაზე.

ფაშისტური ტერორი და მწერლები

გერმანიაში მძვინვარებს ფაშისტური ტერორი. ისინი ვინც ამხილებენ ფაშისტების მხეცობას, მთავრობის მხრით განიცდიან სასტიკ დევნას, გადასახლებას, დატუსაღებას ან გაძევებას გერმანიის საზღვრებიდან. მთელი რიგი გამოჩენილი მწერლებისა სხედან საპატიმროებში, რევოლიუციური და რადიკალური ინტელიგენცია განიცდის ფაშისტების ტერორის სიმწვავეს. პრუსიის აკადემიიდან გამორიცხეს სახელგანთქმული ბელეტრისტი — **ჰაინრიხ მანი**, (ავტორი წიგნებისა: „მადამ ლეგრო“, „პროფესორი უნრატი“, „გმცემნი“, „ამბოხი“, „ტირანის ბოლო“, „ვენერა“ და სხვ). მხატვარი ქალი **კეტე კოლვიცი** (მასზე ცალკე მონოგრაფია გამოცემულია მოსკოვში, ხოლო მისი სურათების გამოფენის მოწყობა განზრახული იყო ქ. ტფილისში).. მთელი რიგი პოეტებისა და ბელეტრისტებისა დატუსაღებამ გამოიწვია ამერიკელ და ფრანგი მწერლებისა(რომენ როლლანის და ანდრე ჟიდის) პროტესტები.

ცნობილი რომანისტი **თომას მანი იძულებული** გახდა დაეტოვებია გერმანია. ამ მწერალმა 1929 მიიღო **ნობელის** პრემია რომანისათვის—„ცაუერბერგ“ (მშვენიერი მთა), ხოლო საბჭ. კავშირში ცნობილია მისი ნოველები და რომანი „ბუდენბროკი“.

ასევე მოიქცა ბელეტრისტი არნოლდ ცვარგი.

ამასთან ერთად მხატ. და არტ. რჩებიან ულუკმა-პუროდ: ჰიტლერის პოლიტიკური „რევოლიუცია“ ვერ შველის ეკონომიურ კრიზისს. ფრანგული მემარცხენე პრესა აღნიშნულ ანარქიას გერმანიაში აფასებს როგორც დამღუპველ მოვლენას ამ ქვეყნის კულტურისათვის. გენიალური მათემატიკოსი და ფიზიკოსი **ალბერტ აინშტაინი** უკვე აღარ დაბრუნდება გერმანიაში. **ის** მიწვეულია საფრანგეთში, კერძოდ პარიჟის „კოლეჟ დე ფრანსეში“ (უმაღლესი მეცნიერული დაწესებულებაა) მისთვის გახსნილია სპეციალური კათედრა მათემატიკისა.

მწერალთა კავშირში

მუდმივი კორესპონდენტი

მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტა“-ს მუდმივ კორესპონდენტად დამტკიცებულ იქნა ამხ. **ლევან ასათიანი**.

მწერალთა დასასვენებელი სახლი

პრეზიდიუმის დადგენილებით წელს ქვიშხეთში არსებული მწერალთა სახლი გადაკეთებული იქნება მწერალთა დასასვენებელ სახლად პანსიონატით და სათანადო მოწყობილობით.

გამომცემლობა „ფედერაცია“

გამომცემლობა „ფედერაცია“ ჯორჯაძის ქუჩიდან გადატანილი იქნა მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13).

◆ **პოეტური პროზის სალამო.** აპრილის 29-ს საღამო 8 საათზე მწერალთა სასახლეში **კონსტანტინე გამსახურდია** წაიკითხავს რამოდენიმე ნიმუშს თავის ახალ რომანების და ნოველების სერიიდან. შესვლა თავისუფალია.

„ქართული პოეტური ფოლკლორი“

იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა „ქართული პოეტური ფოლკლორი“, I ტომი: ლირიკა და ლიროეპიკა, **ვახტანგ კოტეტიშვილის** შესავალი წერილით, შენიშვნებით და ლექსიკონით.

წიგნში მოთავსებულია 500 ლექსი. ეს ლექსები აღებულია საქართველოს ყველა კუთხიდან. ამ მხრით წიგნი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან წარმოდგენას იძლევა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარის ხალხური პოეზიის სიმდიდრეზე და ხასიათზე.

„ქართული პოეტური ფოლკლორი“-ს პირველ ტომთან ერთად მზად არის დასაბეჭდათ 5 ტომი, ამავე გამოცემის სერიიდან. თვითეული ტომი წარმოადგენს განსაზღვრულ დარგის (ლირიკის თუ ეპოსის) პირველ ტომებს: სასიმღერო ეპოსი, თხრობითი ეპოსი (ზღაპრები), თქმულებები და ანდაზები და გამოცანები. გამზადებულ მასალის ნაწილი გამოიცემა საქ. მუზეუმის მიერ, ნაწილი საქ. უნივერსიტეტის მიერ და ნაწილი სახელგამის მიერ.

„ქართული პოეტური ფოლკლორის“ რედაქტორი მოლაპარაკებას აწარმოებს აგრეთვე გამ-ბა „ფედერაციას“-თან წიგნის: „მესხეთ-ჯავახეთის პირველი ფოლკლორისტული ექსპედიცია“-ს გამოცემის შესახებ. ამ კაპიტალურ შრომაში მოთავსებული იქნება საქართველოს ერთად-ერთი საინტერესო (ისტორიულის მხრით) კუთხის ფოლკლორული მასალები, შესაფერი შენიშვნებითა და წერილებით.

თანახმად საქ. სამეცნიერო აკადემიის წინადადებისა მზადდება „ქართული ზღაპრები“-ს პირველი ტომი. აგრეთვე გამ-ბა წლის გეგმებში შეტანილია „ქართული ფოლკლორი“-ს ნიმუშების გამოცემა.

—:—

გრ. ორბელიანის წერილები

ი. გრიშაშვილი ამზადებს გრ. ორბელიანის წერილების გამოცემას.

სახკინმრეწვში

უახლოეს დროში სახკინმრეწვი მიიღებს ხმოვან სურათებს „ნეიტან ბეკკერის დაბრუნება“-ს ებრაულ ენაზე) და „ჩემს სამშობლოს“.

„მოზარდი ენტუზიასტები“

გამოვიდა დავ. შამათავას საყმაწვილო წიგნი „მოზარდი ენტუზიასტები“ (მოთხრობები) გამოცემა „სახელგამის“.

სარედაქციო კოლეგია:
დ. დემეტრაძე (პ.-მგ. რედაქტორი), რ. ზვეტაძე (პ.-მგ. მდივანი), შ. დუდუჩავა, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი, ლ. ქიაჩელი, ნ. ზომლეთელი, ბეს. ჟღენტი.
გამომცემლობა „ფედერაცია“.
მთავლიტი 555.

მასალები და დოკუმენტები

გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღი

(წიგნიდან „ორბელიანები“)

გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღი დღევანდლამდე არ არის დაზუსტებული. არის ერთგვარი შაბლონიური კლიშე, ან არა-და აღრევა... კიტა აბაშიძე გრიგოლ ორბელიანის დაბადებას 1801 წელს აკუთვნებს (იხ. „ეტიუდები“. ტ. I, გვ. 33); ალ. ხახანაშვილს ჩვენი პოეტის დაბადების თარიღი ხან 1800 წელი ჰგონია (იხ. „ქართ. სიტყვ. ისტორია“ II, გვ. 24), ხან 1804 წელი (იხ. „ოჩერკი“... 4, გვ. 24), ან არა-და ორივე თარიღს ერთად იხსენიებს: „წელიწადი, რომელსაც აკუთვნებენ გრიგოლ ორბელიანის დაბადებას, — სწერს ა. ხახანაშვილი, — **აქამდის არ არის გამორკვეული**, სამხედრო სამსახურის მოწმობით იგი დაიბადა 1800 წ., ხოლო თანამედროვეთა მოსაზრებით 1804 წელს“ (იხ. „ნაკადული“, 1910 წ. № 10, გვ. 40); ამასვე იმეორებს **ია** ეკალაძე: „გრ. ორბელიანის დაბადების წელი **ნამდვილად არ არის გამორკვეული**, მაგრამ ბიბლიოგრაფების აზრით **იგი დაბადებული ან 1800, ან 1804 წლებში** (იხ. „ანტოლოგია“ III, გვ. 252); მ. ზანდუკელს და კ. კაპანელს გრ. ორბელიანის დაბადების თარიღად 1800 წელი მიაჩნიათ (იხ. პირველის — „ახალი ქართული ლიტერატურა“, გვ. 174, მეორისა — „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“, გვ. 255); ხოლო ვ. კოტეტიშვილი, რომელმაც წუნდაუდებლად გამოსცა გრ. ორბელიანის ლექსები, მგოსნის დაბადებაზე არაფერს ამბობს; გრ. ორბელიანის დაბადების თარიღი მეც შეცდომითა მაქვს მოხსენებული (იხ. „საიათნოვა“, გვ. 52); ასევეა მოთავსებული ს. ფირცხალავას რედაქციით გამოცემულ აკადემიურ ნიკ. ბარათაშვილში (გვ. 153)' ბ. ესაძეს კი პოეტის დაბადება მეთვრამეტე საუკუნეში გადააქვს, სახელდობრ 1799 წელს, როცა რუსეთის ჯარი საქართველოში შემოდიოდაო (იხ. „ლეტოპის გრუზიი“, გვ. 286);

რა ამბავია! რა მოხდა! ნუ თუ პოეტის დაბადების წელი, რომელიც არც ისე შორეთს ეკუთვნის, მისმა თანამედროვეებმა ვერ აღნიშნეს სისწორით? რად არის ამდენი თაბაუთი? საიდან მომდინარეობს ეს ნისლი?

ჩემის აზრით, ამ აღრევის საბაბი იონა მეუნარგიას ჩინებულად დაწერილი წიგნია („ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა“) იონა მეუნარგია გრ. ორბელიანთან დაახლოვებული კაცი იყო, მას ისე მოწიწებით უყვარდა გრ. ორბელიანის პოეზია, რომ იგი ერთხელ რუსთაველსაც გაუტოლა. „იშვიათი პოეტი,—ამბობს მეუნარგია ორბელიანზე,—ასეთი პოეტი, რომლის ზემოთ მარტო ერთი რუსთველი-ღა არის“ (იხ. „დროება“, 1883 წ., № 61). ი. მეუნარგიამ შეაგროვა თითქმის ყოველი წვრილმანიც კი, რაც გრ. ორბელიანის ცხოვრებას ეხებოდა... ამ დროსვე დაიბეჭდა ორბელიანების გვარის მთელი გენეალოგია (იხ. „კავკაზ“, 1883 წ. № 69), ხოლო პოეტის დაბადების წელი კი ბუნდოვნად დასტოვეს. მაგრამ სჯობია თვით იონა მეუნარგია ვალაპარაკოთ: **„ნამდვილად არავინ არ იცის, რა დროს დაიბადა გრიგოლ ორბელიანი**, — სწერს ორბელიანის მემატიანე, მეუნარგია, — სრულ მის ნამსახურობის სიაში ის არის დანიშნული დაბადებულად 1800-ში, მისთა თანამედროვეთაგან კი რამდენიმე ამბობენ, რომ ის არის დაბადებული 1804 წელშიო“... ცოტა ქვევით ი. მეუნარგია განაგრძობს: „ამრიგად გრიგოლ ორბელიანი უნდა იყოს დაბადებული 1800-ს“, (იხ. „მოამბე“, 1904 წ. № 2, გვ. 58 — არის ცალკე ამონაბეჭდიც, გვ. 4).

ამგვარად გრ. ორბელიანის დაბადების თარიღად გამოფენილია ოთხი სხვადასხვა წელი:

— 1799 წ., 1800 წ., 1801 წ. და 1804 წ.

მაგრამ ყველაზე პოპულიარული 1800 წელია, რომელსაც მწერალთა უმრავლესობა თითქმის აკანონებს.

ჩემი მუშაობის პროცესში, ხელთ ჩამივარდა ერთი წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ **გრიგოლ ორბელიანი დაბადებულია ქ. ტფილისში 1804 წ., 2 ოქტომბერს.** ეს წერილი ეკუთვნის გრ. ორბელიანის ბიძას — იოსებ ორბელიანს, რომელიც ბატონიშვილ ალექსანდრესთან წასულ თავის ძმებს წერილსა სწერს და, სხვათა შორის, გრიგოლ ორბელიანის დაბადებასაც ატყობინებს თავის ძმას ზურაბს. აი, ამ წერილის ეს ადგილიც:

მის ბრწყინვალებას ორბელიანს ზურაბს, ასლანს, სოლომონს, მიერთოს ტფილისით სადა იმყოფებოდეს.

(ასეთი მისამართი აწერია დაკანვერტებულ ბარათს ი. გ.)

ზურაბს და ასლანს და სოლომონს ქ. მის ბრწყინვალებას ძმებს ბატონს ორბელიანს მათი ძმა ორბელიანი იოსებ ჩემს სასურველს პირს გაკოცებ და შენს მშვიდობით ხილვას ღმერთს ვთხოვ. ჩვენს ამბავს, მოიხსენებ, მშვიდობით გახლავართ. **ჩემი რძალი ღვთით მშვიდობით მორჩა და ვაჟი ჰყავს და გრიგოლ დავარქვით** (ხაზი ჩემი ი. გ.), დღეს, რომ ამ თვის ცხრა არის, დღეს სწორია რომ დაწვა და მოგილოცავ. ღმერთმა, მშვიდობით და ადრე გვაჩვენოს თქვენი თავი... ღვინობისთვის ი. ქკს უებ (ოქტომბრის 10, 1804 წ. ი. გ.).

ხოლო ზურაბის მეორე ძმა გიორგი ასე ახასიათებს პატარა გრიგოლს:

„ზურაბ, მომილოცავს ჩემი რძლის მორჩენა, შენმა გაზრდამ ასეთი ბიჭი გყავს, რომ ახლავ გჯობს. ღმერთმან გაზარდოს. სახელადაც გრიგოლ დავარქვით“.. ღვინობისთვის ია ქკს უებ (ოქტომბრის 11, 1804 წ. ი. გ.).

დღეის შემდეგ უარყოფილ უნდა იქნას ყოველგვარი საეჭვო ჰიპოტეზები გრ. ორბელიანის დაბადების თარიღის გარშემო და მხოლოდ ჩემ მიერ გამოქვეყნებული და დადგენილი თარიღი უნდა გავრცელდეს:

— გრიგოლ ორბელიანი დაიბადა 1804 წ. 2 ოქტომბერს.

— გარდაიცვალა 1883 წ. 21 მარტს.

—:—

ამ წერილების შესახებ, რომლებიც საქ. ცენტრ.-არქივში ინახება, შემდეგში უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ ჩემმიერ განზრახულ შრომებში. მხოლოდ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა იმის თაობაზე, თუ როგორ გადარჩა ეს წერილი... ცნობილია, რომ გრ. ორბელიანის მამა ზურაბი (მისი მეორე სახელი **დიმიტრი** არსად არ შეგვხვედრია), თავისი ძმებით ალექსანდრე ბატონიშვილთან იმყოფებოდა, სახელდობრ სად იყო ამის თქმა, ძნელია, ვინაიდან ალექსანდრე ბატონიშვილი ქარიშხალივით დაჰქროდა ხან კახეთში, ხან მთიულეთში, ხან დაღესტანში, ხან სპარსეთის საზღვრებზე — და იბრძოდა დაკარგული ტახტის დასაბრუნებლად.

ამიტომაც არის, რომ ზემორე მოყვანილ წერილს ასეთი მისამართი აწერია: „მის ბრწყინვალებას ორბელიანს **მიერთოს სადა იმყოფებოდეს**“. ხოლო ზოგიერთ წერილს ასეთი წარწერებიც აქვს: „თუ ეს კაცი მკვდარი ნახოთ, ვისაც ჩაგივარდეთ, პატრონს უძიეთ“. მაშინდელ წერილების დამტარებლებად გულად, ფეხმარდ შათირებს ირჩევდნენ და კარგ „ფეხის ქირასაც“ ჰპირდებოდნენ თუ წერილს დაუბრკოლებლად ჩააბარებდნენ პატრონს; მაგრამ ხშირად შიკრიკებს საზღვარზე რუსის მსტოვარები იჭერდნენ და ტფილისში ჩამოჰყავდათ: კაცს სატუსაღოში ამწყვდევდნენ, ხოლო წერილებს კი ჩამოართმევდნენ და არქივს გადასცემდნენ.

ჩემმიერ გამოქვეყნებულ წერილს ზედიც აწერია: იგი დანიშნულებისამებრ არ არის მისული.

ი. გრიშაშვილი

სტამბა „კომუნისტი“. კაშის ქ., № 68

ბიჭმა ხალათის გადაძრობა დაა-
ირაჟი 6000
სტამბა „კომუნისტი“. კაშის ქუჩა № 68
ი და არც მისი სარ
ძრეულან...